



# ენციკლოპედია

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ე მ ო ზ ი ლ ე ბ ა

## უძალადესი ბრძანებანი.

მართლ-მადიდებელის სარწმუნოების უწყების საეპისკოპოსო სკოლათა დებულების დამტკიცების შესახებ.

დასსსრუდი \*).

## საოსტატო სკოლები.

ა) მეორე-კლასიანი სკოლები.

34. მეორე კლასიან სკოლებს მიზნად აქვთ მოამზადონ მასწავლებლები ვაეები და ქალები წერაკითხვის სკოლებისათვის.

35. მეორე კლასიან სკოლებში მიიღებიან პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა დამთავრებულნი 13—16 წლისა. დედათა მეორე კლასიან სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქნან ის პირნიც, რომელთაც შინაური განათლება მიუღიათ. სკოლაში შესვლის მსურველნი უნდა გამოცდილ იქნან.

36. სწავლა მეორე კლასიან სასწავლებელში 3 წელიწადს გეღობება.

37. მეორე კლასიან სკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს 1) საღმრთო სჯულს 2) საეკლესიო ისტორიას, საზოგადოს და რუსულს 3) საეკლესიო გლობას 4) რუსულ ენას 5) საეკლესიო-სლოვიანიურ ენას 6) სამშობლო ისტორიას 7) გეოგრაფიას და ფიზიკიდან მოკლე ცნობებს ბუნების მოვლენებზედ 8) ანგარიშს 8) გეომეტრიულ ხაზვას და ხატვას 10) დიდატყიკას 11) საქირო ცნობებს ჰიგიენიდან 12) სუფთა წერას 13) ხელსაქმეს დედათა სკოლებში).

38. მეორე კლასიან სკოლებში სავარჯიშო სამოსწავლო საბჭოს ნებართვით შეიძლება შემოღებულ იქნას საეკლესიო მხატვრობა, მუსიკა, ხელოვანი, სასოფლო მეურნეობა, როგორც დამატებითი ვაკეთილები. ამის გარდა შეიძლება მეორე კლასიან სკოლებში გახსნილ იქნან კურსები ზემოხსენებულ საგნებისა, ნოტებზედ ვალობისა და მუსიკისა.

39. მეორე კლასიან სკოლებთან უნდა დაარსებულ იქნან ერთ კლასიანი საეკლესიო სკოლები სკოლის მოწაფეთა ბავშვების სწავლებაში სავარჯიშოდ.

40. მეორე კლასიან სკოლებს განაგებენ მღვდლები, რომელთაც სავარჯიშო სამოსწავლო საბჭო ირჩევს.

41. მასწავლებელი ვაეები და ქალები ამოირჩევიან იმ პირთაგან, რომელთაც საეკლესიო-საოსტატო სკოლებში ან საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებიათ სამსახურში კი მათ ამტკიცებს სავარჯიშო სამოსწავლო საბჭო.

42. გასათავებელი გამოცდანი მეორე კლასიან სკოლის მოწაფეთა—ქალთა და ვაჟთა წარმოებულ იქნებიან სკოლის საბჭოსაგან. მხოლოდ ამ გამოცდაზედ თავმჯდომარეობს სავარჯიშო სამოსწავლო საბჭოს მიერ დანიშნული მეთვალყურე (სავარჯიშო ანუ სამაზრო) ან წვერი სავარჯიშო სამოსწავლო საბჭოსი, ანუ მისი სამაზრო განყოფილებისა.

43. იმ მოწაფეთ, რომელნიც კარგად გაათავებენ მეორე კლასიან სასწავლებელს, მიეცემათ მოწმობა წერაკითხვის გამავრცელებლის სკოლის მასწავლებლობისა.

\* იხ. „მწეჟისი“ № 12, 1902 წ.



44. მოწაფეთა, რომელთაც არა ნაკლებ ორი წლისა უმსახურიათ მასწავლებლად საეკლესიო სკოლებში შუქლიანთ მიიღონ მოწმობა მასწავლებლობისა ყველა ხარისხის საეკლესიო სკოლებში მოკლე გამოცდის შემდეგ უწმიდესის სინოდის მიერ დადგენილის წესდების მიხედვით.

ბ. საეკლესიო-საოსტატო სკოლები.

45. საეკლესიო-საოსტატო სკოლებს მიზნათ აქვთ მოაზნადონ მასწავლებლები ყველა ხარისხის საეკლესიო სკოლებისათვის.

46. საეკლესიო საოსტატო სკოლები შეიძლება დაარსებულ იქნან მხოლოდ უწმიდესის სინოდის მიერ.

47. საეკლესიო-საოსტატო სკოლებში მიიღებიან ახალგაზდა ვაჟები და ქალები 15—17 წლამდის, რომელთაც სწავლა დაუშთავრებიან მეორე კლასიანი სასწავლებლებში ან სხვა სასწავლებელში, რომლის პროგრამა უდრის მეორე კლასიანი სკოლისას. მეორე კლასიან სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი ხელახლად გამოცდილ იქნებიან საოსტატო სკოლაში მიღებამდის მოწაფენი კი გამოცდილ იქნებიან მეორე კლასიან სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

48. სწავლა საეკლესიო-საოსტატო სკოლებში გძელდება 3 წელიწადს.

49. საეკლესიო-საოსტატო სკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ხალბთთა სჯულს 2) საეკლესიო ისტორიას, საზოგადოს და რუსულს 3) დიდაქტიკას და პედაგოგიკას 4) საეკლესიო გლობას და მუსიკას აგრეთვე გლობარობას 5) საეკლესიო-სლოვენურ ენას 6) რუსულ ენას, სიტყვიერებას და ლიტერატურის ისტორიას 7) ისტორიას საყოველთაოს და რუსულს 8) მსოფლიო გეოგრაფიას და რუსეთის გეოგრაფიას 9) მათემატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას და მიწის-მზომლობას 10) ცნობებს ბუნებაზედ, მისს უმთავრეს ძალებზედ და მოვლენებზედ 11) ხაზვას და ხატვას 12) ჰიგიენას 13) ხელსაქმედ (დედათა სკოლებში).

50. უწმიდესის სინოდის ნებართვით, საეკლესიო-საოსტატო სკოლებში შეიძლება შემოღებულ იქნან: საეკლესიო-მატერობა ხელობანი, სასოფლო მეურნეობა დამატებითს გაკვეთილებად და აგრეთვე შეიძლება დაარსებულ იქნან კურსები საეკლესიო გლობისა და მუსიკისა.

51—52. ამ საოსტატო სკოლის მოწაფეთა სწავლებლისთვის მოსაზნად. მასთან დაარსდება ორკლასიანი საეკლესიო სკოლა.

53. საეკლესიო-საოსტატო სკოლის გამგეობა უწმიდესის სინოდისაგან სავარკიო მღვდელ-მთავრის წარდგენით მიენდობა უმრევლო მღვდელს, რომელსაც უშილდესი საღვთის-მეტყველო განათლება მიუღია.

54. საეკლესიო-საოსტატო სკოლის მასწავლებლად დანიშნულ იქნებიან საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამღვდლო პირნი უწმიდესის სინოდისაგან, საერონი კი უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან, სავარკიო მღვდელმთავრის წარდგენით.

55. გასათავებელი გამოცდანი უნდა წარმოებულ იქნან საეკლესიო საბჭოსაგან. გამოცდაზედ უნდა თავმჯდომარეობდეს სავარკიო მეთვალყურე ანუ ერთი წევრთაგანი სავარკიო სამოსწავლო საბჭოსი სავარკიო მღვდელ მთავრისაგან დანიშნული.

56. საოსტატო სკოლის იმ მოწაფეთ, რომელნიც ზინებულად გაათავებენ სწავლას, მიეცემათ სკოლის საბჭოსაგან პირველი ხარისხის მოწმობანი (ატესტატები) დანარჩენთ კი მოწმობანი პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლობის უფლების მიღების შესახებ.

IV. უფლებანი და უპარტესოანნი საეკლესიო სკოლათს და მათში მოსწავლეთა და მასწავლებლეთა.

57. მეორე კლასიან საეკლესიო-სამრევლო და საოსტატო სკოლებს უფლება ეძლევათ შეიძინონ უძრავი ქონება, თავის სასწავლო საჭიროებათა და საკამაყოფილებლად: პირველთ სავარკიო სამოსწავლო საბჭოს და მეორეთ უწმიდესის სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოს ნებართვით.

58. საოსტატო სკოლების საბჭოებს აქვთ სასკოლო ბეჭედი საგუბერნიო ბეჭედისათან შემდეგი წარწერით: საბჭო ამა და ამ საოსტატო სკოლისა.

59. საეკლესიო სკოლათა მზრუნველნი ორიგ სქეისი შეიძლება წარდგენილ იქნან უმაღლეს ჯილდოზედ.

60. საეკლესიო საოსტატო სკოლების საბატო მზრუნველი, თუ მათ სახელმწიფო სამსახურის უფლება აქვთ, ჩამორიცხულ იქნებიან თანამდებობით მე-VIII კლასში და მუნდარით მე-VIII ხარისხები მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყებაში ზემო-



სხენებულნი პირნი. სახელმწიფო სამსახურში ირიცხებიან, მხოლოდ უფლება არა აქვთ ჯამაგირი და პენსია მიიღონ. იმ საპატიაო მზრუნველთა, რომელთაც უფლება არა აქვთ სახელმწიფო სამსახურში შევიდნენ, ნება ეძლევათ მხოლოდ მუნდირის ტარებისა.

61. საოსტატო სკოლების მასწავლებელთ მიეცემათ იგივე უფლებანი და უპირატესობანი, რომელიც მინიჭებული აქვს საერო განათლების სამინისტროს, სასწავლო სამსახურს, მხოლოდ იმ გარეგნით, რომ სამსახურში ყოფნის დროს უფლება არა აქვთ პენსია მიიღონ ყოველი ხუთის წლის შემდეგ დადებული თანხა მოემატოს პენსიას.

62. საოსტატო სკოლების მასწავლებელ ქალებს სასწავლო სამსახურისთვის მიეცემათ როგორც ვაყებს პენსია, მხოლოდ მათზედ არა ვრცელდება ძალა 322, 323 და 343 პენსიათა და ერთხნობით დახმარებათა წესდებისა (კან. კრ. ტ. III, გამ. 1896).

63. წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთ—გლებებს, რომელსაც მასწავლებლობის მოწმობა არა აქვთ და აგრეთვე საეკლესიო სკოლათა საპატიაო მზრუნველთა—გლებთ, მიენიჭებათ უპირატესობანი თემთა, სოფელთა და გმინთა მართველობისა სამსახურში მყოფთა (პ. 1-ი. 2 მუხ. 124 საზ. გლებთა შესახებ დებ. განს. დამატ. კანონ. წოდ. შესახებ ტ. IX კან. კრებ. და მუხ. 252 პოლ. სამ. სად. დაწეს. შესახებ გამ. 1892 წ.).

64. საოსტატო სკოლის მოწაფენი სწავლის დროს განათვისუფლებულ არიან ყოველგვარ გადასახადისაგან, სამხედრო ბეგარის გარდა,

65. საოსტატო სკოლების მოწაფეთა, რომელთაც პირნათლად შეუსრულებიათ პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლობის მოვალეობანი, მიენიჭებათ საპატიაო პირადი მოქალაქეობა, სათანადო მთავრობის წარდგენით ხელი მოაწერა: სახელმწიფო ტიპოს თავმჯდომარის მაგიერ კრამფს სოფსკიმ.

ნამდვილზედ საკუთარის მისი იმპერატორების უდიდებულესობის ხელით აწერია: „ოჟეს კსრედ“.  
ს. პეტერბურგი  
1 აპრ. 1902 წ.

**შ ბ ა ტ ე მ ი.**

მართლ-მადიდებელის სარწ. უწყების საისტ. სკოლების.  
I. შტატი ორ-კლასიანი სკოლისა.

	სამსახ. მყოფ. პირობა რიცხვი.	ერთი წლის ჯამაგირი.	
		ერთს.	სრულ.
		მ ა ნ ე თ ი,	
სკოლის გამგე მღვდელი.	1	360	360
უფროსი მასწავლებელი .	1	540	540
მასწავლებლები . . . . .	2	480	960
გალობის სწავლებისათვის . . . . .	—	—	200
წიგნთ-საცავის და სასწავლო საჭიროებისათვის . . . . .	—	—	140
საზოგადო საცხ. მოწ. შესანახად.	—	—	200
შენობის ქირა და სხვა ხარჯი.	—	—	600
<b>ჯ ა მ ი .</b>	—	—	<b>3000</b>

II. შტატი საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლისა.

სკოლის გამგე მღვდელს.	1	1500	1500
საზ. განათ. საგნების მასწავ.	3	—	2700
გალობის და მუსიკის მასწავ.	1	600	600
მკურნალი . . . . .	1	—	—
ძირითადი და სამოწაფო წიგნთ-საცავისათვის . . . . .	—	—	300
მოსამსახ. დასაქირ., გათ.-განათ., შენობის შეკეთ. დაზღ. ზ სხ.	—	—	1500
სახელმწ. სტიპენ. დასაარსებ.	—	—	2800
სამეურნეო და სამწ. საქმეები . . . . .	—	—	200
სამკურნალო საჭიროებმათთვის.	—	—	300
წვრილმანი საჭიროებისათვის . . . . .	—	—	100

**ჯ ა მ ი .** . . . . **10000**





შენიშვნა. 1) როგორც მეორე კლასიან, აგრეთვე საოსტატო სკოლების მასწავლებლო, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ, მიენიჭა სამსახურით მე-VIII კლასის, მუნდირი, მე VIII ხარისხით, საშუალო განათლებისას კი მე X კლასის და ხარისხისა; საეკლესიო-საოსტატო სკოლების მასწავლებელთა, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ, დაენიშნება ჯამაგირად 900 მან. საშუალო განათლებისას კი 750 მ. წელიწადში. საეკლესიო საოსტატო სკოლის მკურნალს მიენიჭება თანამდებობის მე-VIII კლასი და მე-VIII კლასის ხარისხის მუნდირი.

2. საოსტატო სკოლებში მოსამსახურეთ პენსია მიეცემა სახელმწიფო ხაზინიდან, გადასახდითა წესდების მე-242 მუხლის მიხედვით, გამოც. 1893 წ. შემდეგი გადაკეთილი ჯამაგირებიდან: მეორე სკოლის უფროსს მასწავლებელს 360 მ. დანარჩენთათვის 320 მ., საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელთ, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ 600 მ., საშუალო განათლებისას 400 მ., იმავე სკოლებში გარობის და მუსიკის მასწავლებელთ 300 მ. მეორე კლასიან სკოლების გამგეთ 360 მ. საოსტატო სკოლისას კი 750 მ. იმ გამგეთ, რომელთაც პენსია დაიმსახურეს როგორც სეპარატიო, ისე სასწავლო სამსახურში, ის პენსია მიეცემა, რომელიც მტია.

3. თუ რომელსამე მუხლში მოხსენებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული ფული დანიშნულებისამებრ არ დაინარჯა— შეიძლება სეპარატიო სამოსწავლო საბჭოს ნებართვით იგივე ფული მოხმარებულ იქმნას სხვა მუხლებში აღნიშნულ სკოლის საქიროების დასაკმაყოფილებლად.

4. დედათა საოსტატო სკოლებისათვის იგივე შტატებია დაწესებული როგორც საეყო საოსტატო სკოლებისთვის. ამის გამო უფროსს მასწავლებელს ქალს მეორე კლასიან სკოლისას მიეცემა წელიწადში 480 მ., უმცროსს კი თითოს 360 მან. უფროს მასწავლებელს საეკლესიო საოსტატო სკოლისას—600 მ. უმცროსს კი თითოს 500 მ. პენსია დაენიშნებათ მეორე კლასიან საეკლესიო სკოლების მასწავლებელ ქალებს 300 მ. ხელ-საქმის მასწავლებლად მეორე კლასიან სკოლას მიეცემა წელიწადში 300 მ., საოსტატო სკოლის კი 400 მ.

ხელი მოაწერა: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მაგივრად გრაფ სოლსკიმ.

**უმაღლესი დაჯილდოება.**

ყოვლად უმოწყალოსად დაჯილდოებულ იქმნა 6 მაისს 1902 წ.—დღესა მისი უღიდებულესობის დაბადებისას: სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის ოქროს მენდლით ზედ წარწერით „ერთგულთა ბისათვის“ გულზე დასაკიდათ, ტრანსლავის ორდენის ლენტით,—იმერეთის ეპარქიის, ყვირილის სკოლის მასწავლებელი ბესარიონ კელენჯირიძე.

**უწმ. სინოდის განჩინებანი.**

1. 6 თებერვლიდან—3 მაისამდის 1902 წლ. მე-564 ნომრით თუჩუქაზე დახატული სატყუის გასეიფვის აღკადავის გამო 1903 წლის ზარველ ახნერადგან.

უწმიდესმა სინოდმა, გამსვეალტლმა იმ სურვილით, რათა შეუბრალველად დატულ იქმნას საეკლესიო სამხატვრო საქმე, 6 თებერვლიდან—3 მაისამდის 1902 წლ. განჩინებით დაადგინა (№ 564): გამოცხადებულ იქმნას სასულიერო უწყებაში, რათა ეკლესიებსა და აგრეთვე ეკლესიებსა და მონასტრებთან არსებულ სავაჭრო სახლებში პირველ იანვრიდან 1903 წლ. აღკაძილულ იქმნას თუნუქაზე დახატულ ხატებით ვაჭრობა.

2. უწმიდეს სინოდის განჩინებით 10—17 მაისამდის 1902 წლ. მე-2031 ნომრით, კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორი ღვთის-მეტყველების კანდიდატი, მღვდელ-მონაზონი პირროს (ოქროპირიძე) დანიშნულ იქმნა გორის სასულიერო მასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ.

**აზურკეთის სსლუდ. სსსწყ. გამკვაბისკან.**

სასწავლებლის გამგეობა მოახდენს ამ წელიწადში: ა) განმეორების და დამატებითს გამოცდას 16 მარიაშობისთვის—მეოთხე კლასში, 19—მესამესა მფორესა და პირველს კლასებში; 20 რიცხვს—მოსამზადებელ კლასებში, და ბ) მისაღებს გამოცდას 22-ს პირველს და მეორე კლასებში და უმცროს მოსამზადებელში, ხოლო 23-ს—მესამესა და მეოთხე კლასებში და მოსამზადებელ კლასის უფროსს გამყოფილებაში.



# მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესიან კეთილბუნ სული თვის დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრუთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
შოვედით ჩემდა ყოველნი მამუშარლანი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.


№ 13—14

1883—1902

30 ივლისი

## ქართულთა ეკკლესიის წმიდანების

### შესახებ.



ერთმეტი წლის წინად მოსკოვში და კიევში მე შემომჩვიდეს სურათების მხატვრებმა, რომ იგინისინოდ. გამოცემულ მხატვრობითი წმიდანების სიაში საქართველოს ეკკლესიის წმიდანებს ვერ პოულობენ, არ იციან როგორ დახატონ იგინი და რა ტანისამოსით. ერთმა მხატვარმა, რომლისთვისაც დავით და კონსტანტინეს ხატები შეეკვეთათ, მაჩვენა ეს ხატები. მხატვარს დავით და კონსტანტინე მღვდელ-მთავრები ჰგონებოდა და შესამოსლით და-

ებატა. კიევში მიჩვენეს წმიდა ნინოს სახე, რომელი ხატიც ქუთაისიდან შეეკვეთათ (ვგონებ წმიდა გიორგის ეკკლესიის კრებულს) და ისე ცუდად იყო დახატული, რომ არავითარი მსგავსება ნინოს ჩვეულებრივ სახესთან არ ჰქონდა. მესამე ადგილას ენახე წმ. ნინოს სახე დახატული და სრულებით შეუფერებელი იყო.

პეტერბურგში მყოფობის დროს მე ვაივყე, რომ აპირობდენ მთელი მხატვრობითი წმიდანების სიის გამოცემას ყოველ დღეზე დაწყობილს. ამისათვის ვსთხოვე მათ მალად ყოველად უსამღვდელოესობას მთავარ ეპისკოპოსს პალოლადს, რომელიც ამ დროს უწმიდესს სინოდში იყო მიწვეული, რომ ეშუამდგომლობინა და ქართულთა წმიდანებიც მოეკეთათ ამ საზოგადო წმიდანების სიაში. რიგია, რომ ყველა ღვთის მსახურება საქართველოს ეკკლესიის







წმიდანებისა იყოს არა მარტო ქართულ საეკლესიო წიგნებში, არამედ სლოვიანურ წიგნებშიაც მეთქი. ერთი სიტყვით, მრავალი დამამტკიცებელი საბუთები მოვიყვანეთ მის წინაშე ჩვენი კერძო თხოვნის შეწყნარებისათვის და მანაც დამიძვდა, რომ აღძრადა ამ კითხვის შესახებ სინოდში შეამდგომლობას. მეც დამედებული ვიყავი, რომ ჩვენი თხოვნა მიღწევდა თვის მიზანს, მაგრამ სურვილი არ აღგვისრულდა: გამოიკა ახლად დაბეჭდილი მხატვრობითი წმიდანების სია თითოეული დღისა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის წმიდანები არც ერთი არ ყოფილა მასში მოქცეულია. როცა ჩემი მწუხარება მოვახსენე ამ საგნის შესახებ მათ მეუფეებს, აი რა ბრძანა: „სწორედ სამწუხარო არის ჩემთვისაც, რომ ქართველთა ეკლესიის წმიდანები არ მოყვნენ საზოგადო სხვა წმიდანების სიაში, მაგრამ შესაძლოა დამატებით გამოიკვს და სწორედ ამით დაბოლოვდა ჩემი თხოვნა“, ბრძანა მათმა მეუფეებამ.


ამ წელში ყველა საქართველოს მღვდელთმთავრებს მოუვიდათ უწმიდესი სინოდიდან წინადადება, რომ შეადგინონ სია იმ წმიდანებისა, რომლებზედაც საეკლესიო წიგნებში არის განსაკუთრებით ღვთის მსახურება. მკითხველი წაიკითხავს დღევანდელს ჩვენს გამოცემაში ქართველთა ეკლესიების სიას, რომელიც შეუდგენია მათ მეუფეებს ყოვლად სამღვდლო დიმიტრის და ბლოღინის მღვდელს მარკო ტემლაძეს. სია კარგად არის შედგენილი, მხოლოდ, ჩვენი აზრით, დიმიტრი თავდადებული შეცდომით უნდა იყოს შერიცხული წმიდანად. დიმიტრი თავდადებული მართალია ყველასაგან შესამჩნევია ისე, როგორც მამულისათვის თავდადებული და ხალხისაგანაც დიდად პატივცემული, მაგრამ წმიდათა შორის არ არის შერიცხული.

ამასთან არ შეგვიძლია ორიოდ სიტყვა არა ესთქვათ „ივერიის“ რედაქციის ერთი შენიშვნის შესახებ. რედაქცია შენიშვნაში სურვილს აცხადებს, რომ მსხვა ეპარქიებიდან წარმოდგენილი სიებიც ეთანხმებოდეს ამ შედგენილს სიასა. მთელს საქართველოში ერთი და იგივე სია არის ჩვენი წმიდანებისა და სხვადასხვა გვარობა ანუ სიების უთანხმოება როგორ შეიძლება? ქართველთა ეკლესიის ერთი და იგივე საეკლესიო წიგნები აქვს და სხვა-

და სხვაობა საიდან შეიძლება? როგორც ზოგიერთი რუსები ჰყავენ ქართველებს, იმერლებს, მეგრელებს და ხევსურებს სხვა-დასხვა ტომის ხალხსად, ასეთავე მსჯელობას იჩენს „ივერია“ ჩვენი წმიდანების შესახებ ამ შენიშვნით!..

ღმერთმან ინებოს, რომ 12 წლის წინეთ ჩვენგან აღძრული კითხვა—ჩვენი წმიდანების ღვთის მსახურების დაბეჭდვისა და მათი საზოგადო წმიდანების სიაში მოქცევის შესახებ, აღსრულებულიყოს საესებით.

ექვ. დ. დამაშაძე.



ზირველი დათვალაიერება და რევიზია იმერეთის ეპარქიის ეკლესიებისა ყოვლად სამღვდლო ლეონიდის მიერ.

გაგრძელება \*)

ოცდა ოთხ ივნისს, ნასადილვეს მათი მეუფე-ბა წაბრძანდა კვალითის ქაბუქთის წმიდის გიორგის ეკლესიაზე, რომელიც შორავს კვალითის წმიდა ბარბარეს ეკლესიის ორი ვერსით. იქ ეკლესიის გალავანში ელოდა მათ მეუფეებს მრევლი. მღვ. ანტონ კვანტრეშვილი მიეგება კარებში მათ მეუფეებს და მიიღო იგი ჩვეულებრივად. მათმა მეუფეებამ მიმართა მრევლს სიტყვით, რომელშიაც გამოხატა თვისი მწუხარება ხის ეკლესიის შენობათა უგემომობის შესახებ, რომელთა აშენებაზედ ზევრი ფული იხარჯება და ბოლოს მოუღულობით კედლები წვიმისა და თოვლისაგან მალე ღვება და მთელი შენობა ფუქდება. სიტყვაში ამხილა მრევლს, რომ მათში არ არის თანხმობა და ურთიერთ შორის იმდენი სიყვარულობა, რომ ასმა და ას-ორმოცმა კომლმა საშუალო ადგილი ვერ აირჩიოს ღ ორი სამი ეკლესიის მაგიერ ერთი ეკლესია აავგოს, და ეკლესია რიგიანი, მტკიცე და შემკობილი. მისცა დარიგება მღვდელსა და მრევლს, რომ შეთანხმდენ და ორი ეკლესიის მაგიერ იქონიონ

\*) იხ. „მწყემსი“ № 12. 1902 წ.





ერთი და რიგიანად შემკობილი; აკურთხა იგინი და მათი მეუფება წაბრძანდა კვალითის დანიეთის წმ. გიორგის ეკლესიაზედ. მზის ჩასვლისას მიბრძანდა ამ ეკლესიაში. მრევლი ბლომად დახვდა ეკლესიაზე. ეს ეკლესია მღვდლის რ. გორგაძის და მრევლის მეცადინეობით შესაფერად არის შემკობილი. მღვდელთ-მთავრის ჩვეულებრივი მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ დაათვალიერა ეკლესია, ეკლესიის ამკაულობა და ამბიონიდან მგზნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვაში მათმა მეუფებამ გამოთქვა, თუ რამდენად სასიხარულო და სასურველია მღვდელთ-მთავრისათვის გამშვენებული ეკლესიის ნახვა, «ეკლესიით შეუძლია შეადგინოს აზრი, ბრძანა მათმა მეუფებამ, მრევლის სარწმუნოებაზე და მათ მიმართულებაზე. მრევლი, რომელიც სცილილობს თავისი ეკლესია გამაშვენოს რიგიანად, თვითონ იკლვება და ეკლესიისათვის ზრუნავს, რასაკვირველია, ამტკიცებს მით, რომ ცხოველია მის გულში ქრისტეს სარწმუნოება და ღვთის სიყვარული. ერთად ერთი ეკლესია არის ამ ქვეყანაზე მორწმუნე კაცისათვის, სადაც მას შეუძლია სული და გული დაიშვილოს ამ ქვეყნის ათასწიერი შფოთისა და მწუხარებისაგან. და ნეტავი მას, რომელიც ისმენს ეკლესიაში სწავლა-დარგებებს იმ მორჩილებით, როგორც პატარა ბავშვები». შემდეგ დაწვლილებით განუშარტა მრევლს, თუ როგორი მორჩილი უნდა იყოს ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანე ეკლესიის სიტყვისა და ეკლესიის ყოველი მოთხოვნილებისა და წეს-წყობილებისა. «დღეს, სამწუხაროდ, ბრძანა მათმა მეუფებამ, არიან აქა-იქ გონებით დაბნელებულნი, უკუღმართად აღზრდილნი, რომელნიც არ ისმენენ ეკლესიის სიტყვას, მათ ჰგონიათ, რომ მათი მსჯელობა ნამდვილი ქეშმარიტებაა და უკეთ ესმით; მაგრამ, საბრალონი მალე მწარე გამოცდილებით რწმუნდებიან თავიანთ გონებით სილატაკესა და უმეტრებაში». ბოლოს მათმა მეუფებამ შესთხოვა ღმერთს მრევლთათვის კეთილი მიმართულება, მორჩილებითი სმენა ეკლესიის სწავლისა და მოძღვრებისა და ერთგულებით სიარული ეკლესიაში ღვთის მსახურების მოსახმენად. ყოველი მრევლი თვითთულად აკურთხა მათმა მეუფებამ და ღამის გასათვლად წაბრძანდა მრევლის

მღვდელთან მოძღვრათ-მოძღვართან რომანოზ გორგაძესთან.

25 ივნისს, კვალითის დანიეთის ეკლესიიდან დილის ცხრა საათზე წაბრძანდა მათი მეუფება ცხრა წყაროს ეკლესიაზედ, რომელიც შორავს პირველ ეკლესიას ოთხი ვერსით. ამ ეკლესიაზედაც ბლომად დახვდა მრევლი. ადგილობრივი მღვდელი თომა დუგლაძე მიეგება მღვდელთ-მთავარს და ჩვეულებრივი მღვდელთ-მთავრის მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ დაათვალიერა ტრაპეზი თავის ამკაულებით და მთელი ეკლესია. ეკლესია არის ხისა, უბრალო სახლის მსგავსი—ძლიერ პატარა. კედლების ფიქრები იმდენად არის გაწვეული, რომ ქარიან დღეში ტრაპეზში სანთელი დაიხსება. მრევლი ას-ოც კომპლემდისინ არის და მართალი რომ სთქვას აცმა, სხვა მრევლთა შორის უმეტესად შეძლებული. მათმა მეუფებამ ძლიერ სამწუხარო შთაბეჭდილება მიიღო ამ ეკლესიის დათვალიერებიდან. ამბიონიდან მრევლს უთხრა სხვათა შორის შემდეგი სიტყვა:

„არაფერი ისე არ ასიამოვნებს მღვდელ-მთავარს სამწყსოსი დათვალიერების დროს, როგორც კარგად აგებული და ჯეროვანად მორთული და შემკობილი ტაძარი. ტაძარი არის ერთი უძვირფასესი ნივთი ქრისტიანეთათვის. ყოველი კაცი, რომლის გულშიაც ცოტა მაინც ღვივის ქრისტიანობის გრძნობა უთუოდ პირველად თავის ყურადღებას მიაქცევს თავის ტაძარს, ღვთის სახლს. ტაძარი ქრისტიანეთათვის ნუგეში ყოველ გაქირევებაში. იქ მიეშურება კაცი მწუხარებისა და გაქირვების დროს და სთხოვს ზეციურ მამას შევალსა და ხსნას; იქ მიეშურება სიხარულის დროს ღვთის სადიდებლად; იგია მცველი ყოველ ჟამს სიცოცხლეში და იგივეა მავდრებელი სიკვდილის შემდეგ კაცის სულის ცხონებისა და ნეტარების მკვიდრებისათვის. ამისათვის გასაკვირველი არ არის, რომ ყოველი მრევლი, ყოველი ქრისტიანე არაფერს არ იზოგავს თავის ღედა ეკლესიის ასაგებად და შესამკობად. შორს არ არის ჩვენგან ის დრო, როცა ჩვენი ძველი წინაპრები თავის ტანთსაცმელთან იხსნიდნენ ძვირფას თვალ-მარბალიტებს და ეკლესიას და ხატებს ამკობდნენ მით. შორს არ არის ის დრო, როცა ყოველ მრევლს სასიქადულოდ მიანიდა თავის ტაძრის შემკობა. ამ ეკლესიას



თუმცა პირველად ვხედავ, მაგრამ ბევრი რამე ვიცი ამაზე, როგორც ჩემ წინამორბედთა დროის, ისე დაბოლოს ჩემს აქ იმერეთის ეპარქიაში მყოფობის დროის მიწერ-მოწერათაგან. არ შეიძლება, რომ ამ ეკლესიის შეუფერებელი მდგომარეობა და ასეთი სილატაკე მივაწერო მრევლის სიმცირეს, ან მათ სიღარიბეს. ბევრია მრევლი თქვენზე მცირე და თქვენზე უღარიბესიც, მაგრამ ეკლესია კი ბევრად უკეთესი და უფრო გამშვენებული აქვს. საჭირო არ არის ვიკითხო თქვენს შექმნაზე. მე ცხადად ვხედავ, რომ არც ერთი მრევლი თქვენ შორის არ იკადრებს ამისთანა სახლი იქონიოს. თქვენი სახლები ბევრად უკეთ არიან მოწყობილნი ამ ეკლესიაზე. თქვენ, მე დარწმუნებული ვარ, სასირცხლო მიიმჩნევთ ამისთანა სახლში სტუმრის მიპატივებას, მაგრამ ის კი არ ვიფიქრიათ, რომ ამისთანა შეუსაბამო და შეუფერებელ ხის სახლში წირვა-ლოცვის შესრულება შეუსაბამო და უჯეროა. რის დამამტკიცებელია ის, რომ თქვენ შორის მრავალს უკეთესი შენობა აქვს თავის დასადგომად და ღვთის სახლი კი ასეთი შეუფერებელი და სამარცხვინოდ არის დატოვებული?

როგორც სწანს ამ ეკლესიის განახლების და აშენების შესახებ მიწერ-მოწერათაგან, თქვენ თვითონ შეგინიშნავთ თერთმეტი წლის წინეთ თქვენი ეკლესიის შეუფერებელი მდგომარეობა და ერთ საზოგადო კრებაზე გარდავიწყებიათ ეკლესიის გადაკეთება უთუოდ. ცხრა წლის შემდეგ მთელს მრევლს განმეორებით გარდავიწყებიათ ახალი ეკლესიის აღშენება, რადგან ძველი ხის ეკლესია სრულებით უვარგისათ გიცნიათ. დღეს აღარც ძველი ეკლესიის გადაკეთებაზე ფიქრობთ და აღარც ახალი ეკლესიის აღშენებაზე. მე მივირს, რომ თქვენი სამრევლო, როგორც დასახლებული ქალაქი და დაბა, და, როგორც უფრო შეგნებულნი ხართ, არ ირცხვის ამისთანა შეუსაბამო ეკლესიას. როგორც სწანს, სამწუხაროდ, თქვენში სრულებით გამქალაქი სიყვარული, კრძალულება და პატივისცემა ეკლესიისა, მაგრამ სასიხარულოდ მთებში, დაბებსა და ქალაქების მოშორებით კი ხალხში მთელად დარჩენილა ისევ ძველებური სიყვარული, კრძალულება და პატივისცემა თავიანთ ტაძართადმი. თქვენ, როგორც მნახველი სხვა-და-სხვა

კარგი გამშვენებული ეკლესიებისა, როგორ ითმენთ უყუროთ ამისთანა ხის უბრალო შენობას? რამ უნდა მიიქციოს მლოცველების ყურადღება ამ ხის შენობაში? შენობა პატარა და ბნელი, ფიცრები ერთმანეთს დაშორებული, რომელშიაც ქარი შექრის ტრაპეზში და ამტვერებს თუ რამე შეიგ. როცა ამისთანა კედლები აქვს თქვენს საკუთარს შენობას, ყოველი თქვენგანი ცდილობს, რომ ქაღალდი გააკრას და თავი არ შეირცხვიოს სტუმრებთან. აქ კი მთელი მრევლი ასე გულგრილად უყურებთ ღვთის სახლს, რომელიც ყველა შენობაზედ უკეთესი და უმშვენიერესი უნდა იყოს მთელს საზოგადოებაში. მე მჯერა, რომ თქვენში აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც არაფერს დაიშურებენ ეკლესიის გაკეთებისა და გამშვენებისათვის, მაგრამ უმეტესობა, როგორც სწანს გულგრილი ყოფილხართ. მე აღუკრძალავ მღვდელს ამ შეუფერებელ ეკლესიაში წირვას და თუ ღროზე არ ეცდებით ეკლესიის აშენებას, მაშინ თქვენი შტატი სულ გაუქმებული იქნება და თქვენ მიწერილი იქნებით მახლობელ ეკლესიაზედ“.

მრევლმა მოისმინა რა ყოველად სამღვდელის სიტყვა, ერთხმად განაცხადა, რომ ეცდებიან ეკლესია დაიწყონ. ორ სამ გზის ეკლესიის აშენება ამავე ეკლესიის ადგილზე იყო გარდაწყვეტილი; დღეს ზოგიერთების შთაგონებით სხვა ადგილას ირჩევენ ეკლესიის აშენებას და ამით საქმე აბრკოლებენ. უმეტესობას სურს ამავე ადგილზე იქნეს ეკლესია და სთხოვეს მათ მეუფებს მიეცანება, რომ ეკლესიის აშენება დაეწყათ ამავე ადგილას მთელი მრევლი რომ არ მიყოლოდათ მინც, მათმა მეუფებმა განუცხადა მათ: „მოიყარეთ თავი და მოილაპარაკეთ, ეცადეთ შეთანხმდეთ და უმეტესობა როგორც გარდასწყვეტს და ითხოვს მეც მათ თხოვანს დაეცმაყოფილებ“.

მათი მეუფება წაბრძანდა კედლეთის სამრევლოში. სანამ შტატის ეკლესიაზედ მიბრძანდებოდა, გზაზე ინახულა ერთი მეტად ღარიბი საჯგურის ეკლესია.

დკკ. ღ. ღამ—ქ.

(შემდეგი იქნება)



### ჩეკობრული რჩეუ ზენს ებწვილებს.

(თარგმანი)  
(გაგრძელება\*)

„თვის ხასიათის გაწრთენა მხოლოდ კეთილ განზრახვით შეუძლებელია; უნდა იმეზოა შენს თავზედ ისე, როგორც მკვდილი უროთი გრდელზედ“.

ფრაული.

„ამიერიდგან ძანო რადენ არს ტეშმარტი, რადენი პატიოსან, რადენი მართალ, რადენი წმიდა, რადენი საყვარელ, რადენი საქებელ, რადენი სათნო და რადენი ქებულ, მას ზრახვიდეთ, (პავლ. მოც. ფილ. თავი 4, მუხ. 8).

ჩემი კორესპონდენტი ქალების აზრით „ზოგიერთი ჩვენნი ყმაწვილები დაწვრილმანებულნი არიან და ბუზღუნობენ. ისინი ყველაფერს მუდამ კრიტიკულად ეპყრობიან, ხშირად ცუდ ხასიათზედ არიან: სახლში მტარვალებად ხებებიან, განსაკუთრებით დებთან და მშობლებთან; ამნაირი ცუდი ხასიათი აქვსთ იმ ყმაწვილებს, რომლებსაც ძალიან უყვართ თავიანთი სახლები და ნათესაევი“. საზოგადოდ ყმაწვილ-კაცები არიან ეგოისტები (თავის მოყვარენი). მათი ეგოისტობა სჩანს სხვა-და-სხვა მათ მოქმედებებში: ჯიუტობაში, იქვიანობაში და ფხიკიანობაში; ასე იქცევიან ისინი მათთანაც, რომელთაც ისინი უყვართ და ეფერებიან.

ის ყმაწვილება, რომელნიც მიხედებიან, რომ ეს შენიშვნა მათს ხასიათსაც შეეხება, კარგს იზმენ, თუ ეცდებიან ეგოიზმის თავიდან მოშორებას, რადგან ეს ნაკლი, როგორც მათ, ისე მათ ახლო მყოფთაც ცუდ მდგომარეობაში ავდებს. სწორედ ცუდი სამყოფია იქ, სადაც აღამიანს ექნება იმისთანა ნაკლი, როგორც მაგალითად: უფლების მოყვარეობა და მოუთმენლობა. ყმაწვილები უნდა ცდილობდნენ ეგოიზმის გაქრობას, სანამ მათი ხასიათი გამარგებული არ არის, რომ შემდეგ, სამძიმოდ არ გაუხდეს მათ ცოლებს მათი ხასიათის ატანა. კაცს შეუძლია შეყვარებულ ქალთან გაიყოს ყველაფერი ქვეყნიური ბედნიერება და ნეტარება, მაგრამ ის ვერ მიანიჭებს

მას ბედნიერებას, თუ ქმრად გაუხდა და დაიწყო მისი დაჯანბნება და არა შესაფერი მოპყრობა.

ზოგიერთი კორესპონდენტი ქალები მწერენ, რომ „ყმაწვილები ღირს პატივს არ სცემენ ქალებსო; ეს მათი სენია და თითქმის ყველას აქვსო. ყმაწვილ-კაცებიდგან ქალების პატივისცემა დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ პატივს სცემენ ისინი თავიანთ დედებს. ჩვენს ცხოვრებაში ვერ ვხედავთ ძველებურ რაინდულ პატივისცემას ქალებისადმი, ერთის სიტყვით, იშვიათია ტეშმარტი პატივისცემა მათგან ქალებისადმი“. ყმაწვილები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, რომელნიც ეძებენ გამოიტანონ ცხოვრებიდგან რაც შეიძლება მეტი კმაყოფილება; მეორეს ისინი, რომელნიც სერიოზულად ეპყრობიან ცხოვრებას და მიესწრაფებიან შეეწყონ კეთილ ნაყოფიან აზრებს.

პირველი ჯგუფის ყმაწვილებთათვის ქალი არის სიტკბოების წყარო; მეორეთათვის კი, ქალი არის სისრულის იდეალი. პირველი ჯგუფი ყმაწვილებისა მუხლ-მოდრეკილ არიან ქალების წინაშე, იმყოფებიან რა მათი გარეგანი თვისებების გავლენის ქვეშე; ისინი თხოულობენ ქალებიდან თავის შექცევას და სიამოვნებას, და სრულებით ყურადღებას არ აქცევენ მათ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას. მეორე ჯგუფის კაცები კი, ქალებს სულ სხვაფერ ეპყრობიან: ისინი ძალიან მაღლა აყენებენ ქალებს თავიანთ გონებაში და ძალიან იშვიათად უმეგობრდებიან მათ.

ამ სიტყვებში იფარება ის ტეშმარტება, რომელიც ყოველ ახალგაზდა კაცს მუდამ სახეში უნდა ჰქონდეს. ქალის დანიშნულება ის კი არ არის, რომ კაცების თავშესაქცევი და სათამაშო საგანი იქნენ და არც ის, რომ კაცს კერპად გადაქცეს და თავიანი აცემინოს. ქალის დანიშნულებაა იქნეს იგი ქმრის თანაშემწე, მეგობარი და ამხანაგი. ქალებს, როგორც კაცებს, აქვთ ბევრი ნაკლულევიანება და ყოველი პატიოსანი ქალი ცდილობს მათ მოსპობას იდეალის მისაღწევად. ქალები არ თხოულობენ ქმრებიდან მონებრივ თავყანისცემას; ისინი ცდილობენ იშოვონ თავისუფლება და შეიქნენ მამაკაცების მსგავსნი უფლებებით. რომ კაცებისაგან პატივისცემა ქალებისა კარგია, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. ველური ხალხი ქმნის ქალს მონად და ამცი-

\* ) იხ. „მწეხისი“ № 11 1902 წ.



რებს მას. აღმოსავლეთში ქალები ათვალისწინებულნი ჰყავთ კაცებს, მიუხედავად ნათესავეებისა და დედა-დანებისა. ქრისტეს სარწმუნოება გვესწავლის ჩვენ, რომ ქალებს ისე უნდა ვეპყრობოდეთ, როგორც კაცებს, რადგან ქალები, როგორც კაცები, ბუნებრივად ერთნაირად არიან დაჯილდოებულნი. ის კაცი, რომელიც უპატიოსნად და უღივრად ეპყრობა ქალებს, ღირსი არ არის მამაკაცის სახელი ატაროს. უმეტესი ნაწილი ცნობილ მწერლების ერთმანად ამტკიცებენ, რომ ყმაწვილებს სახლში — დებთან და დედებთან ენერგებთ ქალების პატივისცემის თვისება.

ჩემი კორესპონდენტი ქალები კიდევ მიჩვენებენ ყმაწვილების იმ ნაკლვად, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზრდილობა მკორედ არის მათში, პატიოსნება არ ყოფნით საზოგადოებაში მუსიკის დროს. ზრდილობიანი მოქცევა აღაშინებთან წინა წლებში სავალდებულო იყო ყოველ განათლებულ საზოგადოებაში. ესლა კი ყმაწვილები ახირებში შეპყურებენ ანაირ ვალდებულებათა, რადგან მათი ზრდილობა სავალდებულოდ არ მიაჩნიათ. ცხოვრების წვრილმანი უფრო მეტ დაღს აჩენს ყმაწვილების ბუნებას, ვიდრე სხვა რამე.

ზოგიერთი ყმაწვილები, მართლაც ფიქრობენ, რომ სინარჩარე და ზრდილობიანობა მხოლოდ ქალების კულტივაცია და არა კაცების. ამისთანა ახალგაზრდები უფროსთან ლაპარაკის დროს ლებულობენ უკმებ და შეუპოვარ კილოს, იმ მოსახრებით, რომ ისინი შვრებიან ვაჟკაცობას და მისს შესაფერ დამოუკიდებლობას. ასეთი მოქცევით ისინი ჩაღიან დიდს შეცლომას: მამაკაცის ჭეშმარიტი ახოვნება ყოველთვის გაიჩრევა პარმონიით ყველა სულიერის თვისებებიდან და არა ხასიათის შეუპოვრობით. სიმამაცე როდი აქარწყლებს გულკეთილობას და თავაზიანობას მოყვისისადმი. მოყვისისადმი სიყვარული არის ძირითადი კანონი ცხოვრებისა და ყოველივე ის, რაც მოყვისის სიყვარულს ეწინააღმდეგება, ამ კანონის დამრღვევი არის. ამისათვის უთავაზიანობა მოქცევაში უნდა ჩაითვალოს დიდ ნაკლად. შეიძლება, რომ ზოგიერთ ყმაწვილებმა არ იცოდენ, როგორ დიქტირონ თავი დიდკაცთა შეკრებულებაში, მაგრამ უნდა იყენენ ზრდილნი აღაშინებთან მოპყრობაში, რაც მათ ყოფიქცევას თავისს ბეჭედს ასევეს. ამგვარი მათი ზრდი-

ლობიანობა შეადგენს მათ ბუნებრივ თვისებათა ყოველი ახალგაზრდა კაცი უნდა ცდილობდეს პატიოსნების ძირითადი კანონების შეთვისებას და გონების განვითარებას. ესლა წიგნები სიიაფისა გამოადილი საშოვარია; თითქმის ყველგან მოიპოვება სამკითხველოები. ძალიან საქმიანი კაცებიც კი ანდომებენ დროს წიგნების კითხვას და გონების განვითარებას. გულმოდგინეთ მუშაობა, განსაკუთრებით თუ ის სრულდება კარგად, ახნევენებს და ათამებებს კაცს. უსაქმოზა კი წინააღმდეგ, უყარავს კაცს ხასიათს, მდას, აზარბაცებს და ასეუდიანებს. ყოველი გონიერი კაცი დაწოლის დროს უნდა შეეკითხოს თავს: «რა მოვიქმედე მე დღეს? მოვიქმედე თუ არა ჩემთვის ან სხვისთვის რაიმე სასარგებლო საქმე? კარგად მოვიხმარე დღევანდელი დღე, თუ ტუელიად დავკარგე ის, რაც აწ არასოდეს არ დამიბრუნდება?»

იმუშავე, გვეუბნება ბუნება, იმუშავე, მიუხედავად იმისა, ღებულობ თუ არა შენი ნაშრომის ფასს; იზრომე და იცოდე, რომ უსათუოდ მიიღებ საჭუქარს, რაც უნდა იყოს, ველში იმუშავეთ თუ სწერ პოემებს. თუ შენი შრომა პატიოსანია და შენც ვაკმაყოფილებს, მაშინ მიიღებ საჭუქარს არა მარტო თავის მოყვარებისათვის, არამედ მატერიალურადაც; თუ შენ ხანდისხან რაიმე დაბრკოლება გზვდება, ნუ შეძრწუნდები; კაცი იმისთვის არის გაჩენილი, რომ ნიადაგ იბრძოლოს ცხოვრებაში...

გ. მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

**სია საკითხებისა,**

რამქლივ მისსიონერ-ინსპექტორის მდგდის ტრანსიკაზიკისა ჯრით განხალუდი უნდა იფოს ქართლ-კახეთის სამდედელოების მომავალ კრებაზედ. დასსრულა \*).

23. სამრველო სამზრუნველოებისა და სკოლათა საბჭოების (კომიტეტებისა) მოქმედების განცხობველება.

24. სამისსიონერო სამრველოებში და იმ ადგილებში, სადაც მართლმადიდებლებს კავშირი აქვთ სომხებთან, ნება მიეკეთ მედავითნეებს (უკეთუ

\*] იხ. „მწევისა“ № 11, 1902 წ.



წარჩინებულის ყოფაქცევისა არიან) ჩაიციან სტიხარი ეკლესიაში და გარეთ მსახურების დროს, რათა მეტი პატივი ჰქონდეს მართლ-მადიდებლობის წესთა ასრულებას. (სომხის მღვდლებს—ტურტურებს ნება აქვთ ეკლესიაში და გარეთ იხმარონ მიტრები; მეღვთიონებში, მგალობელთა გუნდში და სხვათ სტიქარებში, რითაც მათ მსახურებას ხალხის თვალში პატივი ედება).

25. ეკლესიების ღვთობების მრველთაგან წესიერად უქმობისათვის და მოსპობა ვაჭრობისა და ცეკვაობისა ეკლესიის სიახლოვეს (მაგ. ქიზიყის სოფლებში) წირვის დაწყებიდან დასრულებამდის, რადგან ეს გარემოება აცდენს ხალხს ლოცვას და უშლის მღვდელს რიგინად სწიროს, ამის მოსახლობლად მოხმარდეს, დაროგების გარდა, დახმარება სამოქალაქო მთავრობისა, თანახმად კანონებს მე-XIV ტომ. მე-16 მუხლისა და სხვ.

26. ის სამრევლოები, სადაც ქრისტიანობა უკვე გამტკიცებულია, მაგრამ საზოგადოების საბჭო მინც იღებს ფულს მათის შენახვისათვის, გამოტოვებულ იქმნენ ამ საზოგადოების ხარჯისაგან და უწყ. სინოდის ხარჯით ინახებოდნენ; რაც ამ სამრევლოებისაგან საზოგადოების საბჭოს ფული დარჩება, მოხმარდეს სამისიონერო საქიროებას სხვა ადგილებში.

27. განმარტებულ იქმნას, რა კავშირი უნდა ჰქონდეთ საზოგადოების მისიონერებს სამრევლო სკოლებთან (მათი უფლება ამ სკოლის დათვალიერების დროს), სევაპარქია სამოსწავლო საბჭოსთან და მის სამაზრო განყოფილებასთან; აგრეთვე—რა მონაწილეობას უნდა იღებდნენ სევაპარქია და სამაზრო ზედამხედველნი სამრევლო სკოლებისა სამისიონერო საქიროებასა და საქმეებში.

28. ხარჯის შემცირების აზრით, სადაც შესაძლო იქნება,—სამაზრო სკოლების ზედამხედველის და მაზრის მისიონერის თანამდებობანი შეერთებულად ერთი ხელში, უკეთეს რომელიმე პირი იზღვნად მომხმადებელია, რომ დაუბრკოლებლად აღასრულოს ორივე თანამდებობა.

29. იმ საბლადოჩინო ოლქებში, სადაც ბევრი სამრევლოა და დიდს მანძილზედ დაშორებული, ორის მოძღვრის არჩევის ნება მიეცეთ აღსარების გასაადვილებლად სასულიერო პირთათვის.

30. იმ სასულიერო სასწავლებლებში, სადაც

პანსიონი არ არის (როგორც, მაგალ. თელავისა), დაარსდეს პანსიონი და, სადაც არის—გაფართოვდეს.

31. არჩეულ იყვნენ სოფლებში მცოდნე გავლენიანი დედაკანი—სამისიონერო ასპარეზზედ სამოღვაწოდ (თითო სამრევლოში თითო მაინც), რათა იმოქმედონ უმეტესად დედა-კაცთა შორის; მოქმედება მათი წახალისებულ იქმნას დაჯილდოვებით.

32. საქართველოს საქსარხოსოს სასულიერო მხარობლის ყურნალში შევილიონ განსაკუთრებით სამისიონერო განყოფილება, (უკეთეს ცალკე სამისიონერო ყურნალის გამოცემა საქმელო იქნება), სადაც იბეჭდებოდეს სამისიონერო ხასიათის სტატეტი, უმეტესად მისიონერებისა.

33. თანახმად აღმშენებლობის წესდებისა (Строительный уставъ) მაჰმადიანთა სოფლებში, ქართველ-მაჰმადიანებისაში მაინც, 200 კომლზედ ერთის მეჩეთის მეტის აშენების ნება ნუ ეძლეოდეთ (ისიც სასულიერო მთავრობასთან დაკითხვით), და არა ორისა, სამის და მეტისა, როგორც, მაგალითად, ზაქათალის ოლქშია, იმ საბუთით, ვითომც ეს მეჩეთები კი არა, სამლოცველო სახლებიაო, მაგრამ მაჰმადის სჯულში მეჩეთი იგივეა, რაც სამლოცველო სახლი.

34. ქართველ-მაჰმადიანთა შორის შემციირდეს რიცხვი მეჩეთის სკოლებისა, დაწესდეს მეთვალყურე მთავრობის მხრივ მეჩეთის სკოლებისა და მღვდლების მოქმედებისა; აღეკაძლოს თათრებსა და ლეკებს მოლლად გამწესდნენ ქართველ-მაჰმადიანთა სოფლებში, და ქართველ-მუსულმანებმა იყოლიონ მხოლოდ ქართველის ჩამომავალი მოლლა.

35. ქართველ-მაჰმადიანთა სოფლებში ოფიციალურ ქალღმრთის გუზანა და საფლავების სსამართლობებში საქმეთა წერა (როგორც, მაგალითად, ზაქათალის ოლქშია) თათრულს ენაზედ ნუ იქნება, არამედ შემოდებულ იყოს რუსულს ენაზედ, ხოლო გადაეთარგმნოთ სამშობლო ენაზედ (სიტყვიერად მაინც, თუ არა ქალღმრთი).

36. ზაქათალის ოლქის ქრისტიანები (ინგილოთაგან) განთავისუფლებულ იყვნენ ესრედ წოდებულის „словесный судъ“-ის დამოკიდებულებასგან, რომელს სულშიაქ საქმეს არჩევენ (ქრისტიან-ინგილოებისასაც) ზოგჯერ შარიათის (მაჰმადიანების კანონით) ძალით, მაჰმადიანი ღვიანბნეგები და მოლლა.



ეს განთავისუფლება აუცილებლად უნდა მოხდეს თანხმად წმ. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლესი, თავ. VI, მუხ. 1—8.

37. მისიონერთა სახელმძღვანელოდ სხვადასხვა ინსტრუქციებისა, რომლებიც ზოგიერთ მუხლებში ერთმანეთს არ ეთანხმებიან; ამიტომ საჭიროა შედგინდეს იქნას ერთი ვრცელი ინსტრუქცია მისიონერთათვის. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას სხვადასხვა დროს ორი ინსტრუქცია ანუ დარიგება შეუდგენია მისიონერთათვის, მაგრამ მათ შედგენამდის უწმ. სინოდს კიდევაც გამოუცია ფრიალ სასარგებლო სამისიონერო ინსტრუქციები, რომლებთანაც უნდა შეთანხმდეს საზოგადოების გამოცემული ინსტრუქციები. (სინოდალური ინსტრუქცია მაგალითად, დაბეჭდილია Сборникъ законоположен. по дух. вѣд. Варсова).

38. როგორც ვუწყით, საზოგადოების საბჭოს აღუძრავს შეამდგომლობა უწმ. სინოდთან, რომ მისიონერები განთავისუფლებულ იყვნენ საზოგადოების სკოლების გამგებლობისაგან და სკოლების მეთაულყურედ დაინიშნოს ცალკე ინსპექტორი. რადგან საპირველო სკოლები ყველგან ვრცელდება, ასე რომ მათის მოქმედებით ქრისტიანობა მინც დამტკიცდება, საზოგადოების საბჭოს რომ არც-კი ჰქონდეს სკოლები, გადაეცეს საზოგადოების სასოფლო სკოლების შენახვა და მართვა სინოდალურ სასკოლო საბჭოს და რაც ფული დარჩება საზოგადოების საბჭოს სოფლის სკოლების გადაცემით და არსონ ცენტრალი სასწავლებლები პანსიონებით, სადაც სამოსწავლო პროგრამა გაცილებით ვრცელი იქნება და გამგედ ამ ცენტრალ სასწავლებლებისა და პანსიონებისა დაინიშნონ მისიონერები, რადგან სკოლა ითვლება საიმედო იარაღად მისისისა. ამგვარი მთავარი სასწავლებლები იქნებიან სტანებში (იხ. 1 საკითხი ამ სისის), სოფლის სკოლებიდან იქ გადავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად და სხვ.

39. რადგან ქრისტ აღმ. საზოგადოება მეცადინეობს მხოლოდ ქრისტიანობის აღდგენას იმ ერთა შორის, რომელნიც ისტორიულ გარემოებით გაღუდგნენ ქრისტეს სჯულს და თავის წესდების ძალით არ ეხება მართლმადიდებლობის გავრცელებას თათრებსა, ლეკებსა და სხვა ხალხში, ურიგო არ იქნება ამათვის სახარების საქადაგებლად მოწვეულ

იყოს მოსკოვის სამისიონერო საზოგადოება, რომელიც მთელს რუსეთში მისისებს აწესებს; შეიძლება თათრებსა და ლეკებსა შეიგნონ ქადაგება მართლმადიდებლობისა ვიდრე იმ ხალხთ. სადაც მოქმედობს კავკასიაში ქრისტ. აღმ. საზოგადოება; ან კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ასპარეზი გადიდდეს იმ ზომამდე, რომ ყველა ურწმუნო ხალხში მისისები გაიხსნას, ე. ი. იყეს საზოგადოებად არა მარტო აღმადგენელად, არამედ გამავრცელებლადაც ქრისტიანობისა კავკასიაში.

40. შეიტყოს კრებამ, რომელი ზომები წინანდელ საეპარქიო კრებაზედ მოწონებული, სისრულეში არიან მოყვანილნი და მოქმედობენ და რომლები, თუმცა შეწყვეტილებულ იქნენ, მაგრამ არც-მოპხმარდნენ საქმეს, ან დარჩნენ უწყალოდ.

ჩვენის აზრით, ყველა საეპარქიო კრების წევრმა წინადადეგ უნდა იცოდეს, რა კითხვები იქმნებიან განხილულნი მომავალს კრებაზე, რომ ყველა მომზადებული იყოს საფუძვლიანად საქმის განხილვის დროს. უმეტეს შემთხვევაში კრების წევრი მხოლოდ კრებაზედ-ღა იგებს, რა საგნებზედ იქნება სჯა, ამიტომ საფუძვლიანად და სამართლიანად საქმის დღეა-სება ბევრს უძნელდება.

გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, რომელსაც თითქმის ყველა ქართლ-კახეთის მღვდელი კითხულობს, შესაძლოა სამღვდლოებამ ადრევე შეიტყოს შინაარსი ზემოხსენებულის 40 კითხვისა, რომელნიც წარუდგინა მისიონერ მღვდ. ტ. ივანიკიმ საზოგადოების საბჭოს. სასურველია, სხვებისაგან წარდგენილი საკითხებიც წინადადეგ ეუწყოს სამღვდლოებს კერძოდ მიიც \*).

\*) ამ საკითხებს ვებჭადავთ ჩვენ იმ მიზნით, რომ შეძლება მივსვთ წამკითხველთ—სისულიერთა ზირთ, გამოსთქვან თავანთა აზრი ზოგაერთი უდავილო და უმნიშვნელო საკითხების შესახებ და ამანარად ააწილან სამღვდლოების კრებას უსარგებლო ბასის და შეუსაბამო დადგენილებათა. რედაქცია შემდეგ გამოსთქვამს თავის აზრს ივანიკეის წამკითხველთ კითხვების შესახებ.  
რედ.





საქართველოს ეპკლეზიის წმიდანების სახელები და მათ მოსახსენებლად დადგენილი დღეები.

ქეთევანი	13	ენკენ.
როსებ ალავერდელი	15	"
ძმანი ისააკ და იოსები	16	"
ძიძინა, ელიზბარ და შაღვა	18	"
რიფსიმე და ჯიანე	30	"
დავით და კონსტანტინე არგვეთლები	2	ოქტ.
გრიგოლ ხანძოელი 5	5	"
ნეოფიტე ურბნელი	28	"
კოსტანტინე მთავარი	10	ნოემბ.
გიორგი მთავარ-მოწამე	(23	აპრილი.
	10	ნოემბ.
გობრონ (მიქელ)	17	"
ილარიონ-ქართველი	19	"
აბიბოს ნეკრესელი	29	"
ისე წილკელი	2	ქრისტ.
პეტრე მაიუმელი	2	"
აბო ტფილელი	8	იანვ.
წმ. ნინო	14	»
სალომე და პეროკავრა	15	"
ანტონი მარტყოფელი	19	»
დავით აღმაშენებელი	26	"
ცხრათა ძმათა კალაელთა	22	თებერ.
სუქია მესუკეველი	15	"
თამარ მეფე 1)	1	მაისი
იოანე ზედაზნელი მოწაფითურთ	}	7 მაისი
სტეფანე ხირსელი		
ზენონ იყალთოელი		
თადეოზ სტეფანწმინდელი		
ისიდორე სამთავნელი		
პიროს ბრეთელი		
მიქელ ულუმბელი	}	9 "
შიო მღვიმელი		
ეთევიმე მთარგმნელი		

1) ბუღაკაოვის „წმიდათა სიაში“ თამარ მეფე მოხსენებულია ასრე: Святая Тамара Иверская. სუნთა გადმოცემით, თამარის თმა, როგორც წმიდა ნაწილი, დაკრძალულია ეკერის ტაძარში, იგი ხათლათ მოსილი ჭხატია ქართველთა ვეკლას წმიდანებთან ერთად სიონის და სხვა ტაძრებში.

არჩილ II ივერიისა	}	21 ივნისი
და ლუარსაბ II ქართლისა		
იოანე (აბულჰერი)	}	14 »
გიორგი მთაწმინდელი 2)		
იოანე ეფთვიმეს მამა		
გაბრიელ ათონელი	}	12 ივლისი
კვირიკე 3)		
ესტატე მცხეთელი	}	29 "
რაჟდენ ნიკოზელი		
შუშანიკა (შუშანა)	}	3 აგვის.
დალო და ლუკიანე		
დავით გარეჯელი	}	46 დღე აღდ.
შაღვა თორელი 10,000 მხედრებითურთ 18 სექ.		
ილია დიაკონი	}	7 მაისი
სიდონია, აბიათარი		
მირიანი და ნანა დედოფალი	}	6 აგვ.
დიმიტრი თავდადებული		
ვახტანგ გორგასლანი 4)	}	12 მარტი
შიო ახალი და ხუთნი ძმანი		
ნესტავი (ნესტან) 5)	}	24 აპრ.
დარია (დარეჯანი) 6)		
ათანასე ათონელი	}	14 იანვ.
გურანდუხტ 7)		
დავით და ტარეკანი (ძმანი) 8)	}	3 ივლ.
იოანე პალატრელი		
თორნიკე	}	18 მაისი
ზაგრატ პონტელი		

2) გარდაიცვალა 29 ივნისს. დღესასწაულად დაუნაშეს 30 ივნისის დღე, კარნა კანდაკში ჩაწყრილია 27 ივნისის რაცხვში.

3) წმ. კვირიკე ფრიად მიღებული წმიდანია სუანეთში და საზოგადოდ მოეფს იმერეთში. მისი დღეობა მადის 15 ივლისს, რომელსაც ამის გამო დაკრძება კვირიკობისთვე.

4) ქართ. ცხ. თანასწორად მოცეპულთა იწოდება.

5) იხ. სუიანქსარი სუეკელ. მუზ. № 222, 24 ანბ. ქვეშ.

6) იქვე, 17 ოქტ. ქვეშ.

7) იქვე, 3 ავლ. ქვეშ.

8) იხ. სუიან., № 18 მაისის ქვეშ.





უფლისა 9)  
 ლეთისა  
 ნერსე პატრიარქი  
 იოანე მტბევერი 10)  
 დონარ დედოფალი

5 აპრ.  
 5 იანვ.  
 1 ივლი.  
 —  
 30 ივნისს\*).



† ნაპროლოგი

27 ივანობისთვის ს. გუმში (ქუთაისის მახრა) გარდაიცვალა შტატ-გარეშე მყოფი მღვდელი იოსებ ბენიანის ძე წირეთელი. განსვენებული პატროსანი და ყველასათვის თანამგრძნობელი იყო. მთელი სოფელი კეთილად და სიყვარულით იგონებს მას, ყოველ გუბელ გლგის აქვს მისი კარგი მოქმედი გულის ფიტარზედ აღბეჭდილი. დიდად სასიამოვნოა, რომ ორმოც წელიწადზე მეტს მსახურებდა განსვენებული ერთსა და იმავე ადგილას და ამ ხნის განმავლობაში ისე დაუმსახურნია ხალხის ყურადღება, რომ ერთი მასზედ ცუდის მოქმელი არავინ არის.

9) თენიანს დღეები.

10) მიქელ მადრეკელის სკვალბელში გამოსტყუდა ნათლით, ვათარცა წმიდანა, მასა სტა. ის. მ. ჭანაშვილის წიგნში «მთის რუსთაველი».

6) უმადლეს მთავრობის მინდობილობით, ეოვლად სამღვდელთ დიმიტრიმ, ალავერდის ეპისკოპოსმა და ქვაშკეთის ტაძრის წინამძღვარმა მარკო ტუშმადაქმ შეადგინეს ეს სა ქართულ წმიდანებისა და ხეტარ მამებისა. ამკვარევე საეპი მოუთხოვნიათ ამკრეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების მღვდელ-მთავართან. ვბჭადეთ ტფილასურს სას, რადგან, სასურველია, რომ ეველა ქართულ საეპი ოფის ერთგვარობა და თანხმობა. ქართულ სასელებს დაქმევა, თათი-ორფლას გარდა, ალგრძელეი ჭქონდა ჩვენს სამღვდელთებს, მაშინდაქმ, რაც სრული იქნება ესეთი საეპი, მით უმეტეს მადლობას დაიმსახურებენ მათნი შემდგენელნი. რუსებს აქვთ ასრეთი სასელები: Свѣтлана Милица, Богданъ და სს. ამკვარევე წყნებურა: სათელა (დედა ვიანგ ბრწყინვალისა), აბუშურა, წყალბა, დვითისავარ, მუხჯაბუტი, ევარევერე (=Любовь), ზეადა ანუ ახობა (=ბერძ. ზობა), დიპარტ (ბერძ. ესპერ), რუს ანუ რუსულან, გვიე=ვიანგე=ვიანგე=ვიანგე, ზვარამუტი, ზვარამუნ, მუხჯადა და მსევესი მათი Драга, Блискона, Аполдонъ და მებრა).

გასვენებაზედ დავსწრო ქუთაისის კათედრის ტაძრის დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი მახლობელი სოფლებს სამღვდელთობითურთ და დიდ-ძალი ხალხი. წესის აგების დროს სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ი. კახაიამ, რომელმაც ნათლად დაასურათა განსვენებულის ცხოვრება და მოქმედება. აი ეს სიტყვა:

„ღირსო და პატიოსანო თანამომემო მამაო იოსებ! აი კიდევ რამოდენიმე წამი და შენ შვი მიწის ფარდის უკან მიიმაღლები და მოგვმორდები საუკუნოდ. ეს ხომ ასეა და უნათლოდ ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან სიკვდილი აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის. სიკვდილი სპობს კაცს ამ ქვეყნად სხეულით, მაგრამ კარგი სახელი კი მუდამ რჩება, რომელიც დიდებული პოეტის სიტყვებით — „სჯობია ყოველსა მოსახვეჭელსა“, და რომ შენ ამნაირი სახელი მოიხვეჭე იმ საზოგადოებაში, რომელშიდაც შენ მოქმედებდი, — ეს ყოველ ექვს გარეშეა. შენ ორმოც წელიწადზე მეტი იმსახურე ერთსა და იმავე ადგილას, სადაც დაიმსახურე ხალხის ყურადღება და სიყვარული. მე მრავალ გზის მოწამე ვყოფილვარ იმ გულ-ახლილის სიტყვებისა, რომელთაც ხშირად წარმოსთქვამდნენ ხოლმე გლგებები რჩევი, როგორც ისინი გვცხობდნენ შენ, ძალიან ლომბიერი, თანამგრძნობელი, თავ-დადებული და კაცთ-მოყვარული მღვდელი არისო; ყოველივე ჩვენს მდგომარეობაში შედისო“ და სხვა. დიდათ სასიამოვნოა, რომ იმ მძიმე თანამდებობაში, როგორც არის მღვდელობა, დაიმსახუროს ხალხის თვალში მღვდელმა ისეთი სახელი, როგორც შენ დაგვიმსახურნია. თუმცა შენ არ იყავი ნასწავლი, არც დიდი სიმდიდრის მემკონი, მაგრამ მუხუთედავად ამისა შენი დანიშნულებისათვის არ გიღლიატინია, შენს მოქმედებას არავითარი მწიკელი არ დასდებია და ყოველთვის იყავი ნამდვილი დამცველი მღვდლობის დიდებისა. გარდა ამისა, შენ დიდი შრომა მიგიძღვის ამ ეკლესიის აშენებაზე, არ დაგვიზოგავს მისთვის შენი ძალი და ღონე და არც ნივთიერი შეწყვეობა. ამნაირი შრომით და კარგი ყოფაქცევით შენ დაიმსახურე მთავრობის ყურადღებაც და იყავი დაჯილდოებული სხვა-და-სხვა დროს. დღეს შორადები ამ ამოა წუთი სოფელს და აწ მშვიდობით, მარად კუთხოვთელ იყოს ამ ქვეყნად ჩვენში შენი ხსენება და მოგვიტოვოს იმ ქვეყნად წმიდა მამათა შორის ღირსი მიღება და განსვენება“.

გულის სკოლის მასწ. მ. ბ-ძე.





**შურნალ-გაზეთმედიან.**

ზნანცი-ბერა. საქსონიის ახალი მეფის გეორგ საქსონელის უმცროსმა შვილმა (იმას ეძახიან პრინც მაქსს) სრულიად სხვა გზა ამოირჩია თავისთვის, რომელიც სრულიად უცხო და არაჩვეულებრივია იმის შთამომავლობის კაცისათვის. ერთის მხრით ის შეუდგა განყენებული მეცნიერების შესწავლას, იმასა აქვს უფლებათა დოქტორის ხარისხი და ღვიის მეტყველების დოქტორისა და ფრეიბურგის უნივერსიტეტის პროფესორად არის შეიცარაში; მეორე მხრით კიდევ, სასულიერო წოდებაში შევიდა. უნდა შეგინშნოთ, რომ თითოეულ მეფე გეორგიც დიდი ღვთის-მოსაყი კაცია და თავის შეიღობსაც ამ მხრივ ყოველგვარი სასულიერო აღზრდა-განათლება მისცა; იმის უმცროსს შეიღზე, პრინც მაქსიმილიანზე, მამის გაცეითლებმა ბავშვობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და 26 ივლისს 1896 წელს პრინცი აღიკვეცა ბერად; ხოლო ორი წლის შემდეგ ნიურნბერგში დანიშნეს სამღვდლო თანამდებობაზემ აქედან ის მიიწვიეს, არჩევნებით, კანონიერი უფლების და ლიტურგიის კათედრაზე ფრეიბურგის კათოლიკეთა უნივერსიტეტში. პაპის სასახლეში (ვატიკანში) ძალიან უნდათ, რომ ახალგაზრდა პროფესორი, ვინაიდან იგი ხელმწიფის შთამომავალია, მალე გახდეს ეპისკოპოსი და კარდინალი, მაგრამ პრინცი, როგორც ნამდვილი ქრისტიანე, სრულის გულის საწმინდით უარს ჰყოფს ყოველგვარ პატივს და დიდებას. ის ნამდვილ ბერულად სცხოვრობს, მოგზაურობს არამც თუ როგორც პრინცი, ხშირად მოსამსახურეც არ ახლავს, თუ ნახა ვინმე ის ანაფორით მიმავალი გზაში, თავის ღღემ ვერ წარმოიდგენს, რომ ის დიდებულნი გვარის კაცია და დიდი განათლებული, და არა სოფლის უბრალო მღვდელი; იმას თითონაც არა სურს, რომ რითიმე განირჩეოდეს უბრალო მომაკვდავ მღვდლისაგან. თუმცა ის თავის დიდებულ შთამომავლობას ფარავს და არ ამჟღავნებს, მაგრამ იმისი ღრმა განათლება და შესანიშნავი მკვერმეტყველური ნიჭი ცხადად ამხელენ, რომ ახალგაზრდა პროფესორი თავის მოძმე საღმრთო პირთ არაფერით არა ჰგავს.

\* \* \*

კატოლდიან გაქცეული დასჯილება. ამ რამდენიმე ხნის წინად ნიდერლანდის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სუმატრიდან ნერუკში გადაყვანათ ორასი დასჯილი დამნაშავე, რომელთაც სამუდამო კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ნერუკში დასჯილი ღამე დამწყვედეულები იყვნენ კარვებში, რომელთაც გარშემო რკინის ეკლიანი ღობე ერტყათ, ამასთან მათ დარაჯობდნენ ჯარის კაცები.

ერთხელ, ბნელ წყვეიად ღამეში, ტუსაღები უტბად თავს დაეცნენ თავის დარაჯებს, ამოხოცეს ისინი და შუაღულ კუნძულისკენ გაიქცნენ.

იმათ უკან გამოუყენეს რამდენიმე რაზმი ჯარისა, მაგრამ ისინი ხელ-კარიგეილი დაბრუნდნენ, ერთი ტუსაღიც ვერ დაიჭირეს.

მოლოდ ეხლა გაიგეს, რომ გაქცეული ტუსაღები ხელში ჩავარდნიათ ადგილობრივ ველურ ხალხს. კუნძულზე ეს ხალხი ცნობილია, როგორც კაცის მჭამლები ამ ხალხს სახელად ტუგარები ჰქვიან.

რაკი ხელში ჩაუტვივდათ კატორღელები, ტუგარებმა დღნახან არ შეაქციეს ისინი მუსაიფით: სუყველა ამ ორასს ტუსაღს თავები მოჰკვეთეს და მალეიანდ შეექცნენ...

ეხლახან ერთს სოფელში ნახეს სარგზე ჩამოცემული ცამეტი კაცის თავი, როგორც გამარჯვების ნიშანი. ამის გარდა, ორასი კაცისაგან ერთი ჩიჩქნა ხორციც არ დაეტოვებინათ.

\* \*

„პრაიტი. ვესტიკ“-ში გამოცხადებულია ექცსილის ახალი წესი.—შევირთან მებრძოლი კომისია უტხადებს: „იენისში ასტრახანის გუბერნიის ყირგიზთა სოფელს ოტკუდასში ბეკთასოვის ოჯახში ექვისი შემთხვევა იყო გადამღებ სენით ავადყოფობისა, რასაც ყველას სიკვდილი მოჰყვა. ექიმებმა ექვი აიღეს შავი-ჭირაია, და ბეკთასოვის და მისი მეზობლების კარვები გააშორეს ერთმანეთს და დეზინფექცია მოახდინეს; 25 იენისიდან ავად აღარავინ გამხდარა.“

28 იენისს ოდესის საქალაქო საავადმყოფოში მოიყვანეს ავადყოფი ებრაელი, გვარად ლინდნი შავი-ჭირის ნიშნებით; ავადყოფის საღვამსა და მის ავეჯს დეზინფექცია გაუკეთეს, ხოლო მის მახლობელთ თვალ-ყურს ადევნებენ. 22 იენისის ებრაელთა



საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ქართველი, აგრეთვე საეკვო ნიშნებით; არც ერთი ამ ავადმყოფთაგანი ერთმანეთს არ იცნობენ და არც ადენსიდან გასულიან სამე უკანასკნელს წლებში; ორივე რჩება. შემდეგ ადენსაში აღარავინ გამხდარა ავად“.

\* \*

ჩერნიგორის ელჩმა გამოუცხადა ოსმალების მთავრობას, რომ ოსმალების ჯარებმა ხალდი-ფაშის ბრძანებით ჩერნოგორელებს თოფები დაუშინეს მოკრი პლანინზე სადავო ოლქში ველიკთან; მოჰკლეს 2 და დასტრეს რამდენიმე კაცი; თუ ამის შესახებ სასტიკი განკარგულება არ მოახდინა ოსმალებმა, ჩერნოგორია პასუს გასცემს.

\* \*

„რუსკ. სლოვო“-ში ეკათხულობთ: „ნუ თუ კიდევ დიდხანს გასტანს ასეთი აუტანელი მდგომარეობა? ჰკითხულობს გაზეთი. არ ვიცი, როდის ექნება მას ბოლო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აუცილებლად საქირია დაუყოვნებლივ გაუმჯობესდეს სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა და საზოგადოთ, რადკალურად შეიკვალოს სახალხო სკოლის ვითარება, უნდა მოხდეს დიდი რეფორმა, თუ გვინდა, რომ სკოლამ აღასრულოს თავისი დანიშნულება: ხელი შეუწყოს რუსეთის კულტურის ზრდასა. ის ხომ ყველამ იცის, რომ რუსეთის ფრის მატერიალური და სულიერი პროგრესი დამოკიდებულია ხალხის განათლებაზე; თუ კი ასეა, განა ბოროტ-მოქმედება არ არის ჩვენის მხრით ხალხში განათლების გამავრცელებელთა უყურადღებოდ დატოვება. მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საქირია შემდეგი ღონისძიებანი: იურიდიულ უფლებათა გაფართოვება, ჯამაგირების მომატება, სკოლის საქმეში მეტის თავისუფლების მინიჭება, სასწავლებელთა საბჭოში მონაწილეობის ნების მიცემა და სხვა. გარდა ამისა, მასწავლებელთ ნება უნდა მიეცეს საერობო დაწესებულებაში იყოლიონ თავიანთი წარმომადგენელი“.

დასარულ გაზეთი ურჩევს მასწავლებელთ საერთოთა დახმარების საზოგადოებათა დაარსებას, რადგანაც ისინი ძლიერს იარაღს წარმოადგენენ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

\* \*

მხრე, სადაც საზენობადი ეგუბ არ არის. ეს მხარე არის ისლანდია. ამ ბენდიერს ქვეყანაში პოლიციაც კი არ არსებობს. იქ ისეთი პატროსანი ხალხი სცხოვრობს, რომ იმისთვის არც უსს-რიგის დამცველია საქირია და არც საპატიმროები.

ისლანდიის ისტორიიდანა ვხედავთ, რომ ათასის წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ქურლობა მოამხდარა. ერთი ქურლობა ჩაუდენია ერთ კაცს, რომელსაც რამდენიმე ცხვარი მოუპარავს. მხოლოდ რადგანაც იმან ეს საქმე ჩაიდინა თავისი მშვენიერი სახლობის გამოსაკვებად, ის შერკცხენაც, რომელიც ამ დანაშაულობის გამო იმას მიადგა, საკმარის სასჯელად ჩასთავლეს იმისთვის.

მეორე შემთხვევაში მცხოვრებმა მოპარა ჩემდამეტი ცხვარი; რადგანაც ამ ჯერად ქურდი შეძლებული კაცი იყო, იმას გადაუწყვიტეს, რომ ნაპარევის ლირეზული ფასი გადაეხადა, გაეყიდნა მთელი თავისი ქონება და შემდეგ მიეტოვებინა ეს მხარე, თუ უნდა, რომ სიკვდილით არ დაესაჯათ. იმ კაცმა დაუყოვნებლივ დასტოვა თავისი სამშობლო.

ისლანდიაში სასამართლო, რასაკვირველია, არსებობს; მოსამართლეების (შერიფების) გადაწყვეტილებაზე შეუქლიანთ საივიარი შეიტანონ სამი მსაჯულის სამმართველოში, რომელიც ქალაქ რეიკიავიკში იმყოფება.

ნეტა როგორ დასჯიდენ ისლანდიელები ჩვენებურ „წუწკ“ ქურდებს, სამი მანეთისთვის სოფლის ეკლესიებს რომ სტევენ?!

\* \*

სასოფლო მეურნეობის საქირიებათა გამოსარკვევად, როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავრობამ გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული სასოფლო-სამეურნეო კომიტეტები. ამას გარდა, ლაპარაკია თურმე საგუბერნიო საერობო გამგეობათა გაუქმების შესახებ, რათა სამაზრო ერობებს მეტი თავისუფლება მიენიქოს. მთავრობის აზრით, საგუბერნიო გამგეობა ხელს უშლის სამაზრო გამგეობას. ის, რასაც ღდემდე საგუბერნიო გამგეობა აკეთებდა, გუბერნატორს გადაეცემა. საგუბერნიო ერობის გაუქმებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება იმ გუბერნიებისათვის, სადაც ერობაა შემოღებული.





# საეკლესიო საღმრთო წერილების ბეჭდის შესახებ.

(თ ა რ გ მ ა ნ ი)

როდესაც ჩვენ ვამბობდით საეკლესიო წიგნების შესწორების თაობაზედ საზოგადოდ (№ 21 Перк. Вѣст. 1901 წ.), მაშინ ჩვენ კერძოთ სახეში გვქონდა კონდაკის შესწორების მიუცილებლობა. ამასთანავე მაშინ ის აზრაც გამოვთქვით, რომ კიევის სავანის მიერ გამოცემული კონდაკი უფრო მისახმარია ახალგაზრდა მღვდელმ-მსახურთათვის მეთქი, ვინაიდან მასში ვარდა იმისა, რომ მოთავსებულია სივრცეები სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედებანი რიგზე დაწყოილნი, აგრეთვე ჩამოთვლილია საეკლესიო მსახურთა თვით მოქმედების წესიც, მიუხედავად მისი ამ უპირატესობისა პეტერბურგის და მოსკოვის სინოდის სტამბების მიერ გამოცემულ კონდაკებთან შედარებით, ამასაც არა ნაკლებ ეჭირებოდა გადათვლიერება და შესწორება.

ვინაიდან კონდაკსა და კურთხევანში არ არის მოყვანილი დაწვრილებით ცნობანი, ამისათვის ეკლესიურ პრაქტიკაში ხშირად თავი იჩინა ბევრმა ჩვეულებებმა—ერთი მსახურისაგან მეორეზედ გადაცემულმა. ამისა გამო არამც თუ სხვა-და-სხვა ადგილას და ეკლესიებში, არამედ ერთსა და იმავე ეკლესიაში—როდესაც მრავალ რიცხოვანი კრებულისა—მღვდელ-მოქმედებანი ეკლესიის მსახურთა განსხვავებებიან ერთი მეორესაგან, რითაც მორწმუნენი შედრობაში შედიან და საყვედურსაც არ მოუწლიან ხოლმე მათ. „Церковный Вѣстник“-ის და „Руководство для сельских пастырей“-ში მოთავსებული საეკლესიო პრაქტიკაში სახმარი საეკვო კითხვების შეკრებიდან სჩანს, თუ რამდენად უსაქიროვებს საგანს შეადგენს განსაკუთრებითი წიგნის შედგენა—„დამატებითი ტიპიკონი“, რომელიც ცხადდ და გარკვევით უნდა იყოს ჩამოთვლილი ყოველივე მღვდელთ-მოქმედება სხვა-და-სხვა დროს. თურნალეებში მოთავსებულ ცნობებს, როგორც კერძოთ, არ ექმნებათ საავალდებულო მნიშვნელობა და არც შესაძლებელია ყოველ ეკლესიაში ამ წიგნის შექმნა. ძირიელ კარგი იქმნებოდა რომ ამისთანა „დამატებითი ტიპიკონი“ საავალდებულოდ შეიქმნებოდეს, როგორც სინოდის თვეთა მეტყვე-

ლებთა ყოველი მღვდლისათვის და ექმნებოდეს მოწონება უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან. მაშინ ადგილი აღარ ექმნებოდა არც საეკვო მოქმედებას მღვდლებისას, არც დავასა და არც მედავითანის შეკითხვას, როგორც ამას ჩაიდან ახალგაზრდა მღვდლები, რომელთაც არ იციან ცნობების უმეტესობისა გამო, როგორ მოიქცენ ამა თუ იმ შემთხვევაში. ამის გამო არა სასურველი დამოკიდებულება გამოიღის მღვდელსა და მედავითანს შორის. არამც თუ ახალგაზრდა, არამედ გამოცდილ მოხუც მღვდელ-მსახურთაც ხშირად შეხედვებით შეცდომის დაშვება ამა თუ იმ მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს. მრავალი მათგანი, იმისა გამო, რომ „რაც ახალგაზრდობაში ჩვეულებას ღრმად ფეხვი გაუღდამს, მოხუცებულებაშიაც ხელს იშლიან ამ ჩვეულებას“, მისთანა ჩვეულებით ვერმძღვანელობენ, რომ მის მსგავსს ვერსად ვერ იპოვიან. ზოგიერთი მღვდლები კონდაკსა და ტიპიკონს სულაც არ უყურებენ და თავის ნებაზედ რაც უნდათ იმას ჩაიდან. მაგ. ბევრს ჩვეულებად აქვს ლიტის დროს სამეფუო კარებიდან გამოსვლისა, როდესაც კონდაკი უჩვენებს ჩრდილოეთის კარებს. ზოგიერთი მღვდლები კრეტსაბმელს გადასწევენ ეპანობისა და კვეთის დროს, ზოგი კი არა, თუმცა ამხუდ გარკვევით სწერია ტიპიკონში, რომ ეპანობის დროს კრეტსაბმელი არ გადიხდება.

აგრეთვე მიცალებულის მოხსენების დროს ზოგი სამეფუო კარებს გააღებს და ზოგიც დახმავს მიუხედავად იმისა, რომ კონდაკში პირდაპირ სწერია: „შემდეგ სახარების წაკითხვისა კვლავ კარები დახმობიან და გაიღება მხოლოდ რომელი ქერაბინთას გალობის დროსა“.

კონდაკის ჩვენების წინააღმდეგ იქცევიან ისინიც, რომელნიც ოდიკს გაშლიან არა შემდეგ ასამალებელისა „რათა და ესენიცა ჩვენთანავე აღიდებდნენ“, არამედ ორჯელ: პირველად გადაშლიან ოდიკის იმ ნაწილს, სადაც სწერია: „კურთხევითა უწმიდესისა და უმართებელისისა სინოდისა, მშვიდობიანის: «მერმეცა გვედარებით უწმიდესისა და უმართებელისისა» და სხ. და მეორეჯელ ზემო ნაწილს კათაკმეველთა მშვიდობიანის თქმის დროს: «და გამოუცხადოს მათ სახარება სიმაართლისა». კონდაკში კი სწერია: „გაშლის ოდიკს მღვდელი შემდეგ ასამალებელისა: „რათა და ესენიცა ჩვენთანა-





ნავე აღიღებდნენ“, ხოლო ასამაღლებელის თქმის დროს გამოსახავს ჯვარის სახეს ღრუბლით, ემთხვევა მას და გადასდებს გვერდზედაო. ხელების ზევით აპყრობა წირვის დასაწყისს, წმიდაო ღმერთის თქმის დროს, სამოციქულოს წაკითხვამდე, რომელი ქერა-ბინთას გალობის დროს და ასამაღლებლის: „ზეგვა-ქედნი გულნი“-ს დროს სულის წმიდის გამაღწევის დროს და ზიარებამდე ზოგისთვის არის და ზოგისთვის კი არა. ასამაღლებელი: „შენი შენთა-განა“-ის თქმის დროს, როდესაც ჯვარის სახედ აღიღებენ ბარძიშს და ფეშხუშს ზოგიერთი მღვდლები გამოსახვენ ჯვარსა ოდიკზედ და ზოგს კი თვით-ნებობად მიიჩნია ეს, თუმცა ისინი ორთავე შემთხვევაში ორივე მართალი არიან, რადგან ცნობების უმექანებლობისა გამო, მოქმედებენ დაუწერელი გადმოცემით.

რამდენი მითქმა-მოთქმა ხოლმე მრევლში მღვდლებზედ, როდესაც ზოგი მათგანი აზიარებენ ბავშვებს სიწმიდის განახლების წირვის დროს, ხოლო ზოგი უარს ჰყოფენ ზიარებას ამ დროს, როდესაც ერთი მღვდელი გამოსახვენებს გარდამოსხნას დიდს პარასკევს ჩრდილოეთის კარით და მეორე კი სამეფო კარებით.

ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ ამ წვრილმანს შეტკობილია შეკავის მორწმუნენი და მრავალთათვის ჰხდება ყბად ასაღებად. წვრილმანებში თვისის საკუთარის აზრით და ჩვეულებით ხელმძღვანელობას კი შეუძლია შორს წაიყვანოს კაცო. ქრისტეს ეკლესიაში უნდა იყოს ერთგვარობა მღვდელ-მოქმედებაში, როგორც ერთია ქრისტე, ერთია სარწმუნოება და ერთ არიან საიდუმლონი.

როგორც კონდაკს, ისე კურთხევანს სჯირია დამატება, რადგან არც იქაა ნაჩვენებ ცნობები თუ როგორ მოიქცეს მღვდელი, რის გამოც ისე თვის ნებაზედ მოქმედობს. საიდუმლო ნათლისღების აღსრულების დროს ზოგიერთი მღვდელი ჩაიყვანს რა ყრმას წყალში სამჯერ და ეტყვის სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამისს სამჯერ ათქმევინებს მიმარქმელსა, მხოლოდ მეოთხედელ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდეს თქმის შემდეგ, ამისს თითონ იტყვიან. საიდუმლო მირონცხებაში: „ბეჭედი მინიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“ თქმის დროს ამის ზოგიერთი მღვდლები

მიმქმელს ათქმევინებენ და ზოგი კი თითონ იტყვის. —საიდუმლო ზიარების დროს ბევრი მღვდლები არ აზიარებენ მუნჯ-სნეულს და მაშასადამე აღსარებისა არა მთქმელთ, ზოგიერთები კი აზიარებენ და ხელმძღვანელობენ ამ დროს მით, რომ სნეულს სწამდა უფალი და იყო მართლ-მადიდებელი ეკლესიის მელიო; ამასთანავე ზოგი წარმოთქმენ ლოცვას: „მრწამს უფალო და აღვიარება“-ს ზოგი არ ამბობს და უთითებს კურთხევანზედ, სადაც ამაზედ არა არის რა ნათქვამი. საიდუმლო ქორწინებაში ზოგი მღვდელი წარმოთქვამს რა სიტყვებს: „უფალო ღმერთო ჩვენო დიდებითა და ბატონითა გვირგვინოსან ჰყვენ ესენი“ ო, აღაპყრობენ ზეცას ხელებს მექორწინებისაკენ პირ შექცეულნი, ზოგი კი ამ სიტყვებს ანალოდიის წინ ამბობენ და მხოლოდ სიტყვა: „ესენი“-ზედ მიიქცევიან და აჩვენებენ მექორწინებზედ; აგრეთვე ლოცვა: „მამამან, ძემან და სულმან წმიდამან“-ს ამბობენ მექორწინებისაკენ მიმართულნი და ზოგი კი გაბრუნდებიან და აკურთხებენ მექორწინებს; გაკურთხოს თქვენ სიტყვების თქმის დროს.

ზეთის კურთხევის დროს კანონის წინ არ არის ჩასართავი, ზოგიერთები კი სხვა-და-სხვა ჩასართავებს წარმოთქმენ ხოლმე, მაგ. იესო ტკბილო გვატხოვნენ ჩვენ, მრავალ-მოწყალო უფალო აღადგინე უძლური მონა შენი, ანუ ყოვლად მოწყალო უფალო ისმინე ჩვენ ცოდვითა მონათა შენთა შენდამი მალადებელთა. აი ის უსწორ-მასწორება, რომელიც ხშირია მღვდელთ-მოქმედების დროს.

თუ დავაკვირდებით ამ წიგნებს ამისთანა შეცდომები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდება. ამისათვის ძლიერ სასურველი იქნებოდა, რაც შეიძლება ადრე გვენახა გამოცემა დამატებითი ტიპიკონისა, რომლის ხელმძღვანელობით მოსპობილი იქნებოდა ამ გვარი თვითნებობითი გამოგონებული ეკლესიურ პრაქტიკაში ჩვეულებანი.

მლ. კ. ანთაძე.







# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* ამ რამდენიმე ხნის წინად კავკასიის მთავარ-მართებელმა ადრად შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ყოველ წლობით 10,000 მან. გადაიღოს განსაკუთრებულ თანხის შესაღწევად. შემდეგ ამ თანხით ეკლესიები უნდა ააგონ კავკასიის იმ სოფლებში, სადაც რუსეთიდან გადმოსახლებულნი სცხოვრობენ. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს ეს შუამდგომლობა წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის და უთხოვნი, რომ 10,000 მან. 1903 წლიდან გადაიღოს. 24 მაისის სხდომაზე სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტს საქიროდ დაუხანავს, ამ საქმის პრინციპიალურად გადაწყვეტამდე, მოსთხოვოს კავკასიის მთავარ-მართებელს დამატებითი ცნობები იმის შესახებ, თუ კავკასიაში რამდენია რუსეთიდან გადმოსახლებული, რამდენი მათი სოფელია, რამდენად საქიროა ამ სოფლებში ეკლესიების აგება და რა თანხა დასჭირდება სულ. 30 ივნისის მთავარ-მართებლის კანცელარიაში მისწერა ამიერ კავკასიის გუბერნატორების და სხოვთა აღნიშნულ ცნობების მიწოდება მიმდინარე წლის 1 ავგისტამდე.

\* ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს ნება დაურთავს ნ. ი. თამაშვილისათვის, გამოცეცს ყოველ-დღიური ფურცელი სამუშაოს შოვნის მსურველთათვის. ამ ფურცელში მოთავსებული იქნება მთავრობის განკარგულებანი, დებუებები და განცხადებანი.

\* \* \* „კავკას“-ის შეუტყვია პეტერბურგიდან, რომ „პრაივტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია მთავრობის განკარგულება ამიერ-კავკასიაში საეკლერნიარო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

\* \* \* წმ. ნინოს თელავის საქალებო სასწავლებელი აცხადებს, რომ წელს სასწავლებლის მოწვევით ხელმოყრედ გამოკლიან 24-სა და 26-ს აგვისტოს, ხოლო მისილები ვეზამენები იქნება 27 და 28 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. სასწავლებლის პანსიონში შესვლის მსურველმა წელიწადში უნდა გადაიხადოს 190 მან.; სწავლის ფასი კი 40 მანეთია.

\* \* \* საქარის სანერგეს გამგემ აგრონომმა სტაროსელსკიმ წარუდგინა მიწათმოქმედების მინისტრის

რის რწმუნებულს კავკასიაში პროექტი ინსტრუქციისა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ადგილობრივმა მთავრებლებმა სანერგეს გუთნებით.

\* \* \* პარიზში შესვლა საზოგადოება, რომლის საგანია აუშენოს სახლები ისეთ ოჯახებს, სადაც ბევრი ბავშვები ჰყავთ. ეს საზოგადოება ისევე არის შემდგარი, როგორც სხვა ამშენებელი სააქციონერო საზოგადოებები. ერთი ნახევარი მისგან აშენებული სახლები უნდა მიჰქირავდეს აუცილებლად ისეთ პირებს, რომელთაც ჰყავთ არა ნაკლებ სამის ბავშვისა. ვარაუდით ასეთი ბინა ეღირება წელიწადში 210 ფრანკი (77—78 მან.), მაგრამ აქციონერებს მინც 3% აიღებენ თავის ფულზე. ახალი საზოგადოება ძალიან სასარგებლო საზოგადოებაა და ღარიბ ხალხის ერთ უმთავრესს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რადგან პარიზელ სახლის პატრონებს ეჯავრებათ იმ ოჯახების დაყენება, რომელშიაც ბევრი ხალხია, მეტადრე თუ ოჯახი დაბალ კლასს ეკუთვნის.

\* \* \* გზათა მინისტრმა ნება დართო რკინის გზის გამგებებს კვირა-უქმობით შეზღუდულ მგარასახლებების ვაჭრობა სადგურის ბუფეტებში.

\* \* \* საყოვალდებო ბრძანება გაუცია პეტერბურგის სასახედრო ოლქისა და ვაუკლიის ჯართა უფროსს. ამ ბრძანებაში ნათქვამია: „1) ყოველი ისეთი შემთხვევა, როდესაც ჯარში ახლად გაწვეულ ჯარის-კაცს სცემენ მასწავლებელნი და მწვრთნელნი, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხოლმე მთავრობას უმაღლესად წარსადგენად; 2) დამნაშავე მასწავლებელი დაუყოვნებლივ სამართალი უნდა იქნება მიცემული; ასეთ მასწავლებელს, სულ ერთი სასამართლო გამამართლებს თუ არა, აღარასოდეს აღარ უნდა მიენდოს ახალგაზდა ჯარის-კაცთა წვრთნა; 3) სასტიკად უნდა დაისაჯოს როტის უფროსი, როგორც პასუხის მეტელი მასწავლებელთა კულის საქციელის; შეიძლება როტის უფროსი სამსახურიდანაც იქმნეს დათხოვნილი.“

\* \* \* პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიალ გადაკეთება სახელმწიფო საბჭომ უდროვოდ იცნოა.

\* \* \* ბათუმის ქალაქი ითხოვდა ნათ-სადგურის გადასახალის დაწესებას. მთავრობას წერა უყვია ეს თხოვნა. რადგანაც აუცილებელ საქიროებას შეადგენს ახლავე საავადმყოფოს დაწესება მუშა ხალხი-



სათვის, ხაზინას ორის წლით გადაუღვია ამ საქმი-  
სათვის 35,000 მან. წელიწადში.

\* \* \* „ცნობის ფურცელში“ ჩვენ ვკითხულობთ  
ბ. ე. ი. ხელაძის შემდეგ საყურადღებო წერილს:  
«რადგან საშუალება ნებას არ მაძლევს, რომ მად-  
ლობა შევწირო თითოეულად ყველა იმათ, ვინც  
მე პატივი მცეს და წერილებით თუ ღებეშებით მო-  
მილოცეს ჩემი სტამბის 30 წლის არსებობა, ამისა-  
თვის თქვენის გაზეთის საშუალებით ყველა იმ ჩემს  
პატივის მცემელთ უღრმეს მადლობას ვუცხადებ».

ამისთანავე არ შემძლია ეს ჩემი დღესასწაული  
არ აღენიშნო, შეძლებისა-და-გვარად, კეთილის საქ-  
მის დაწყებით. ამისათვის უმოჩინოდ ვესთხოვ ბ.ბ.  
სოფრონ მგალობლიშვილს, ილია ფერაძეს და ანდ.  
ღულაძეს, აარჩიონ რაიმე ნაწარმოებნი ჩვენთა მწე-  
რალთა, ანუ შეადგინონ რაიმე კრებული, რომელ-  
საც სრულის ჩემის ხარჯით დაგებულად და გამოცემე  
1200 წიგნს და გადავცემე ამავე აზრით, რათა სრუ-  
ლი შემოსავალი მოხმარდეს ასოთ-აწიყობათა და  
მშვედობათა და მხარგრებელ კასის ფონდს».

ბ. ე. ი. ხელაძის სტამბის უმეტესად საეკლესი-  
ო წიგნების სამუშაო ჰქონდა და აქვს. უფრო  
საუკუნოდ დასტოვებს თავის ხსენებას, რომ სრულ  
თვენს დაბეჭდავდეს, რომელიც გადათარგმნილია  
ბერძნული ენიდან და დღემდის არ არის დაბეჭ-  
დილი. ისიც დიდი საქმეა საქმე იქნება ნახევარს  
მინც დაბეჭდავდეს უსასყიდლოდ. ჩვენ დარწმუნე-  
ბული ვართ, ყოველი ეკლესია ვალად დაიდებს  
კანდაში მის საუკუნო ხსენებას.

\* \* \* 15 ივნისს ქუთაისში დაიწყო საპედაგოგო  
კურსები დასავლეთ-საქართველოს ორ ეპარქიის სამ-  
რველი სკოლების მასწავლებელთათვის. კურსების  
დაწყებისას გადახდილი იქნა პარაკლისი, რომელსაც  
დაესწრო იმპერიის საეკლესიო სკოლათა მთავარი  
ზედამხედველი შემეიაკინი. კურსები ექვს კვირას  
გატანს.

\* \* \* 17 ივნისს ტფილისის საეკლესიო სიძვე-  
ლეთ-საკავი დათავადიერეს სმოლენსკის გიმნაზიის  
და კოსტრომის რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა  
მასწავლებლებთან ერთად. მნახველებს საქირა ცნო-  
ბებს საგნების შესახებ აძლევდა მღვდელი პოლ.  
კარბელაშვილი. მნახველნი დიდს აღტაცებაში მო-  
ვიდნენ სიძველეთ-საკავის სიმდიდრით და ამბობ-  
დნენ, ამის ფასი და ამის მზგავსი ჯერ არა გენი-

ხავს რაო. ერთმა მასწავლებელმა რუსმა, სხვათა  
შორის, უთხრა სიძველეთ-საკავის მდივანს ილია  
ფერაძეს: «ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემის თე-  
ლით განვიცადე საქართველოს სიძველეთა სიდიდე...  
ახლა მივხვდი, რომ პატარა მართლ-მადიდებელს  
საქართველოს ძლიერი და მდიდარი კულტურა ჰქო-  
ნია... ამისი მზგავსი სხვაგან მე არსად არა მინა  
ხავს რაო».

რა გასაკვირველია, რომ სმოლენსკის გუბერ-  
ნიის მცხოვრებთ ამისთანა ძვირფასი ნივთიულობა  
არ ენახათ? დიად, ასეთი დიდებული კულტურა  
ჰქონდათ ქართველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაე-  
კარგა გარეგანი მტრებისაგან...

\* \* \* შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოუგ-  
ზავა ტფილისის გუბერნატორს რამდენიმე ცალი  
იმ ინსტრუქციისა, თუ როგორ უნდა ებრძოლონ  
ხოლერას ანუ შავ ქირს, უკეთეს ეს სენი ჩვენს ქვე-  
ყანაში შემოიტანეს. ამ ინსტრუქციაში დაწერილ-  
ებით არის დარიგება მოხსენებულ სენთა საბრძოლ-  
ველად და გასაფრთხილებლად.

\* \* \* კავკასიის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის კან-  
ტორებს მარკების გაყიდვისა და ღებეშების გაგზავ-  
ნისაგან შემოსვლით 1901 წელს სულ 1,785,121  
მან. კანტორების მოხელეებზე დახარჯულა, სულ  
747,671 მანეთი.

\* \* \* როგორც ოფიციალურად იტყობინებინა,  
საქონლის ქირი სიღნაღის, თიანეთისა და ბორჩა-  
ლოს მაზრებში, აცრის წყალობით, შესამჩნევად  
შესუსტდა. ხალხი აღარ უფრთხის საქონლის აცრას  
და ყველა სიამოვნებით ანევენებს საქონელს ბეით-  
ლებს.

\* \* \* საქართველოს ეგზარხოსმა უშამდგომლობა  
აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ  
საგუბერნიო საერობო გადასახადიდან ფული იქმნას  
გადაღებული ზოგიერთ სამრველი სკოლასთან  
სოფლო სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად.  
ასეთ განყოფილების დაარსება ტფილისის გუბერნი-  
აში ორ სკოლასთან არის განზრახული. ტირმისის  
ორ-კლასიანი და გომის სკოლებთან. თითო სკოლის  
სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას წელიწადში  
მიეცემა 500 მანეთი.

\* \* \* ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინ-  
სპექტორი ბანი ე. თაყაიშვილი ამ დღეებში გაემგ-  
ზავრა ახალ-ქალაქის მაზრაში საარქეოლოგო გამო-





ველევთათვის. ბ-ნ თაყაიშვილს თან ახლავს ფოტოგრაფი სხვა-და-სხვა შესანიშნავ შენობებისა და საარხეოლოგო ნივთების გადასაღებად.

\* მღვდლის თამარაშვილის მიერ შედგენილი ქართველ-კათოლიკეთა ისტორია ამ ჟამად იბეჭდება და მალე გამოვა კიდევ გასასყიდათ. ამ წიგნში მოთავსებულია ის მასალა, რაც საეკლესიო ისტორიას შეეხება. მლ. თამარაშვილს სამოქალაქო ისტორიის მასალაც შეუკრებია. ამ მასალის ბეჭდვაც ახლო მომავალში შეუდგება.

\* იერუსალიმიდან ცნობა მოგვივიდა, რომ ნ. ი. მარრი და ი. ა. ჯავახიშვილი აგვისტოს 15-მდე ძლივს შეისწავლიან იმ აუარებელ მასალას, რომელიც მათ ჰნახეს ამ ქვეყანაში. ქართულის მწერლობის ნაშთების მოკლე აღწერა დიდი წიგნი გამოვა. ქართული კატალოგი გადააქარბებს სიდიდით და ნომრების რაოდენობით თვით ასურულსა და არაბულს კატალოგებსაც კია („ივერია“).

\* რადგენაც განზრახულია რუსეთის უნივერსიტეტების რეფორმა, საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია შესწავლის ის წეს-რიგი, რომელიც სხვა სახელმწიფოების უნივერსიტეტებშია მიღებული. ამ საქმისათვის სამინისტრო ჰგზავნის სამინისტროს საბჭოს წევრს პროფ. ბუდილოვიჩს საფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა და შვეიცარიაში და ოდესის უნივერსიტეტის საისტორიო ფაკულტეტის დეკანს პროფ. დერევიცკის—ინგლისსა და იტალიაში.

ახირებული ამბავია: ნუ თუ ღღემდის შეუტყობელია კიდევ უცხოეთის მაღალი სასწავლებლების წეს-რიგი?..

\* \* 17 ივლისიდან, აწ არსებულის ბაჟის ნაკვალად ახალი ბაჟი იქნება შემოღებული საქონლის გაგზავნა-გამოგზავნისათვის სახალხო და საქონლის მატარებლებით“.

მეტრ იქნება თუ ნაკლები? აი ეს ცნობა იყო მტად საჭირო...

\* \* \* დღევანდელ და მოქმედებას დაიწყებს ქ. ქუთაისში ყინულის მოსამზადებელი დიდი ქარხანა. ეს ქარხანა ეკუთვნის ბ-ნ მიტროფანე ლალიძეს, რომელიც შარშან თვითონ იყო საფრანგეთში, იყიდა იქ საჭირო მანქანები და წამოიყვანა იქიდანვე მექანიკოსი. ამ ქარხანას დღეში 300 ფუთამდე ყინულის მომზადება შეუძლია. ქარ-

ხანა ელექტრონით იქნება განათებული. ელექტრონის ძალს ბ-ნი ლალიძე კერძო კაცებსაც დაუთმობს, თუ კი მსურველი იქნება ვინმე.

ამაირად გაწყობილი საყინულე მეორე არ არის რუსეთის დიდ ქალაქებშიაც კი. აქვე მანქანის ძალით დამზადდება სხვა-და-სხვა სასამელი წყლები. საზოგადოებამ უკვე იცის და ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ იმისთანა წყლებს, როგორსაც ბ. ლალიძე ამზადებს, რუსეთში და თითქმის საზღვარ-გარეთაც იშვიათად შეხვდება კაცი. ამისთანა მანქანის ქონება სწორედ სიმდიდრეა მთელი გუბერნიისა.

\* \* 12 ბელის კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზარუნველად მყოფი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, უკვე გარდაიცვალა სოხუმში და თუთხმეტ ამ თვის დასაფლავებს ადგილობრივი ტაძრის ვალაფანში.

\* \* ხაზინის ქალაქში (ციმბირისკენ არის ჩინეთის სამზღვარზე) რუსი ვაშლარა ხოლერით 377 კაცი ავად და ჩინელი 863 სული. ამათუ გარდაცვლილა ოცი ივნისიდან 10 ივლისამდე 187 რუსი და 639 ჩინელი. ხოლერა სუსტდება.

\* \* საერო განათლების სამინისტრომ სასურველად არა სცნო, რომ ერთსა და იმავე სასწავლებელში, თუ განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვს, ნათესავნი მსახურდნენ.

\* \* ერთის შემთხვევის გამო საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ რეალურ სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლეს არ შეუძლიან გიმნაზიის მეორე კლასში გადასვლა.

\* \* 11 ივლისს, ტფილისის გუბერნიის გამგეობამ მისწერა ტფილისის მაზრის უფროსს წარუდგინოს უმაღლეს მთავრობასთან გასაგზავნად ცნობები იმის შესახებ, რომ ტფილისის მაზრაში რუსეთიდან გადმოსახლებულ მართლ-მადიდებელთა რამდენი სოფელია; აქვთ თუ არა ამ სოფლებს სკოლები, ეკლესიები და სასაფლაო ადგილები და თუ აქვთ, ვინ მისცა ეს ადგილები.

\* \* როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, 3 ივლისს მღინარე გენალდონის ხეობაში კავკასიონის მთებიდან საშინელი დიდი ყინული ჩამოწვა. ამ უბედურების გამო შემდეგ დაწვრილებით ამავსე ვკითხულობთ გაზეთებში: ყინული საშინელი სისწრაფით დაქანდა აღმოსავლეთისაკენ, სულ გაანადგურა, რაც





გზაში შეხვდა, ხალხი და პირუტყვებიც იმსხვერპლა და შედგა. მცხოვრებნი დამშვიდდნენ და ზარალის გამოკვლევას შეუდგნენ. მაგრამ სამის დღის შემდეგ უბედურება უფრო საზარლად განმეორდა. 6 ივლისს, დილით, როგორც დამსწრენი ამბობენ, ისეთი გრი-ალი მოიხმა, რომ კაცს ეგონებოდა, რამდენიმე ასი ზარბაზანი ერთად დასცალესო: მოიგლიჯა მკორე ყინული და საშინელის სისწრაფით გამოქანდა, და-ეტაკა მეორეს, შეუერთდა და ორივე ერთად გაქან-და. რაც კი რამ დახვდა ამ ყინულის მთას ხეობა-ში, —ხალხი, პირუტყვი, შენობები, სულ თან ვაი-ტანა, დილუბა. უზარმაზარი ყინული შუა ხეობაში გაჭრა. ეს შეკოშტებული ყინული სიგრძით ორ ვერსამდია, სიგანით—სამი მეოთხედი ვერსისა და სიმალით და სისქით—50—60 საყენი. ყინულმა მდინარე გენალდონი შეგაგუბა, ასე რომ ყინულის ზევით უშველდებელი ტბა გაჩნდა. ეხლა იმასა ში-შობენ, რომ შეიძლება ყოველ წელში დაგუბებულ-მა წყალმა ვადმოხეთქოს ან თითონ ყინული დაიძრას და მაშინ მთელი ხეობის სოფლები ვანადგურ-დება.

„7 ივლისს, —ამბობს დამსწრე, —მე და რამდენიმე კაცი წავედით იმ ადგილის სანახავად, სადაც ყინულია შემდგარი. მიდამოებს ეტყობა, რომ რა-დაც არა ჩვეულებრივი საზარელი ამბავი მომხდარა; ხალხი მეტად შემშინებულია და სასოწარკვეთილებას მისცემია, არ იციან, კიდევ რა უბედურება მოელოთ. ჩვენ შევედქით ხუთის ვერსის მანძილზე იმ ალაგი-დან, სადაც ყინულია. ადგილობრივი მამასახლისი შეგვხვდა და ვკითხეთ:

—რა მდგომარეობაშია ყინულის საქმე? შეიძ-ლება მიუახლოვდეთ?

—ნურც გიფიქრიათ, —გვიპასუხა, —ყოველ წელს მოსალოდნელია, რომ ყინული დაიძრას. ნაბძანები გვაქვს, იქით არავინ არ გაუშვათ.



# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## სექტორ კითხვების განმარტება.

კით. შეიძლება თუ არა მღვდელმა გვირგვინი აკურ-თხოს მარტო სალდათობიდან დათხოვნის მო-წმობით?

მაგ. უწმ. სინოდის უქაზებით 28 თებერვლიდან 1889 წ. № 2 და 9 თებერვლიდან 1695 წ. № 2 განმარტებულია, რომ ამისთანა მოწმო-ბებით არ შეუძლია მღვდელმა იხელმძღვანე-ლოს გვირგვინის კურთხევის დროს; უთუოდ უნდა მოითხოვონ სხვა საჭირო მოწმობები, რომელნიც ობისკის წიგნით მოითხოვებიან.

კით. ვინ უნდა აჩვენონ აღსარებითი სიაში სამხედ-რო წოდებისად?

მაგ. სამხედრო წოდებისად უნდა აჩვენებდნენ შტაბ და ობერ ოფიცრებს მათის ოჯახობით, ხოლო მდაბალ მოსამსახურეთაგან იმათ, რომელნიც გაწვეულნი არიან და მსახურებენ; მდაბალნი მოხელენი, რომელთაც სამსახური გაუთავებიათ და სათადარიგო სამხედრო წოდების რიგში ირიცხებიან, ისინი უნდა ინიშნებოდნენ თავი-ანთი წინანდელი წოდებით.

კით. მეტრიკა ნახვარი წლის დაწერილი მაქვს, მაგრამ აღმოჩნდა მოსანათლაივი, რომელიც დაბადებული ყოფილა წარსულ წელში, ან იანვრის და თებერვლის თვეებში. შემიძლია ჩავსწერო მეტრიკაში ნამდვილი რიცხვი ბავშ-ვის დაბადებისა, თუ დავამცირო მოსანათლაივის ხნოვანება და რვა დღის დაბადებულად ვაჩვენო მოსანათლაივი?

მაგ. ნამდვილი დაბადების დრო უნდა აჩვენოთ ბავშვისა; თუ მისი ხნოვანება შემოკლდა, პა-სუხის გებაში ჩავარდნა მღვდელი—მეტრიკის დამწერი.

კით. შეიძლება თუ არა ნამსახურებითი სიაში ჩაწე-რა მღვდლის ლიტერატურული შრომისა და ნაწარმოებისა, მაგალითებზე, წიგნების გამოკე-მა და სხვა ამისთანა?



მაგ. თუმცა პირდაპირი ნაჩვენებები არ არის წიგნების გამოცემის ჩაწერა ნამსახურებითი სიაში, მაგრამ ჩვენის აზრით, არც წინააღმდეგი უნდა იყოს მღვდლის ამისთანა მოღვაწეობის ნამსახურებითი სიაში ჩვენება.

კათ. შეიძლება თუ არა ცოლ-ქმარმა ერთად მონათლოს ბავშვი?

მაგ. მიმრქმელობა ერთსა და იმავე დროს ცოლ-ქმარს თუმცა აღეკრძალებათ 211 ნომოკანონის მუხლით, მაგრამ უწ. სინ. ნათესაობა მიმრქმელ ცოლ-ქმარს შორის არ იქნა. ამისათვის ვინაიდან უწყვიდესი სინოდის უკანასკნელ გამოცემულის 31 დეკემბრიდან 1837 წლისა, ნათესაობა მიმრქმელ კაცსა და ქალს შორის არა ცნობილ არს, რასაკვირველია, ცოლ-ქმარსაც შეუძლიათ იყვნენ ერთსა და იმავე დროს მიმრქმელებად.



ამ ნომერში მკითხველი წაიკითხავს რუსულიდან ნათარგმნს სტატიას საეკლესიო მხარებელიდან (Церковный Вѣст.), რომელშიაც ავტორი საპიროდ რაცს საეკლესიო დღეთის მსახურების წიგნების შესწორებას და მისთან ამბობს, რომ დამატებითი ტიპიკონი გამოიცეს ყველა იმ მღვდელ-მოქმედებათა შესახებ, რომელნიც ერთგვარად არ სრულდებიან ყოველს ადგილას და ყველა სამღვდლოთაგანა. ავტორი ითხოვს, რომ ერთგვარი იყოს ყოველი მღვდლის მოქმედება წირვა ღოცვების და საიდუმლოების შესრულების დროს, რადგან სხვა-და-სხვა გვარად მღვდელ-მოქმედების აღსრულება სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს მორწმუნე მოსმენლებზე. ჩვენც ვეთანხმებით ავტორს ერთის მხრით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიის ტიპიკონს, რომელიც ყველასათვის ცხადია, მაინც სხვა-და-სხვა გვარად ასრულებენ. ზოგიერთი მღვდლები სრულებით არ კითხულობენ კონდაკის და კურთხევის ტიპიკონს და ისე იქცევიან, როგორც სხვებისთვის უყურებით. მოვიყვანთ მგაღლითებს. დამის თვის ცისკარს როგორ ასრულებენ ზოგიერთები? ზოგი შუა ეკლესიაში ღოცვის აღსასრულელად გამოდის სამეუფეო კარიდან, როდესაც ტიპიკონი უჩვენებს, რომ ამ დროს სამეუფეო კარები დახშულნი უნდა იყვნენ და ჩრდილოეთის კარით უნდა გამოვიდნენ. ზოგიერთი

მღვდელი კრეტსამხელს გარდახდის ჟენობის და კვეთის დროს და ზოგნი კი სანამ წირვას არ დაიწყებენ მანამდის არ გადახდიან. ამაზე არის პირდაპირ დაბეჭდილი, რომ ჟენობის დროს კრეტსამხელი არ გადაიხდებოა.

ზოგიერთი მღვდელი გარდაცვალებულის მოხსენების დროს სამეუფეო კარებს არ დახურავს. ზოგს კი „შევიწყალენი“-ს თქმის დროს სამეუფეო კარები დახურული აქვს, როცა გარკვევით არის ნათქვამი, რომ სამეუფეო კარები სახარების წაიკითხვის შემდეგ დაიხურებიან და არ გაიღება „რომელი ქერამბი“-ს დაწყებამდის. კონდაკის ტიპიკონის წინააღმდეგ იქცევიან, როდესაც ოდიკს გაშლიან სანამ ასამაღლებელი: „რათა და ესენიც ჩვენთანავე აღიდებდენ“... ითქმოდეს. ტიპიკონში სრულდებით არსად სწერია, რომ პირველად გარდახილას ერთი პირი და შემდეგ ამა და ამ სიტყვების თქმამდე მეორე პირი ახადეთო. ტიპიკონში ცხადად არის დაწერილი: წარმოსთქვამს თუ არა მღვდელი ასამაღლებელს: „რათა და ესენიცა“ მეუე ვაშლის ოდიკს. ამას რაღა განმეორებით გარდაწყვეტილება უნდა?

ზოგიერთი მღვდელი წარმოთქმის დროს სიტყვებისა: „შენი შენთავან“, ხელებს გადაჯვარადინებს და ისე ასწევს ბარძიმ ფეშუსს და ჯვარს გამოსახავს მით ოდიკს, ზოგი კი ხელით უჩვენებს მართალ ბარძიმ-ფეშუსზე. ამ შემთხვევაში ორივენი მართალნი არიან, რადგან ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი.

ზოგიერთი მღვდელი გარდამოხსნას გამოასვენებს დიდ პარასკევს ჩრდილოეთის კარით და ზოგი კი სამეუფეო კარებით და ასეა სხვა მრავალი...

მართალია ყველა ესევე წერილმანი რამეა, მაგრამ ეს წერილმანიც დიდად სამწუხარო არის მრავალ მორწმუნე ქრისტიანეთათვის, როდესაც ცხადად ნიშნენ მღვდლების მოქმედებაში სხვა-და-სხვა გვარობას. ამისათვის, სწორედ საკიროა მღვდელ-მთავრების კრება ამისთანა და სხვა ამგვარ საგნების მოსაგვარებლად. ძველ დროში არასოდეს არ ყოფილა იმდენი დრო გასული, რამდენი ხანიც ჩვენ დროში გავიდა, რომ კრება არ მომხდარიყოს წმიდა მამათა და მღვდელ-მთავართა. დღეს მრავალი რამ არის შეცვლილი ქრისტიანეთა შორის, რომელზედაც ფრთად საკიროა მოლაპარაკება და ერთგვარი გარდაწყვეტილება და დარიცხვა, როგორც სამღვდლოთა, ისე მორწმუნეთათვის.

დ. დ. დამაშაძე.





მიუღებ ახლის-მოწერა 1902 წლისათვის ოც-  
კვირულ გამოცემათა ქართულს

ქ ა ლ ე ბ ი ს  
პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა  
ელენე ბასტამისა

„მწემს“-ზე

დ. ხო ნ შ ი

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწემსი» 3 მ. | 6 თვით «მწემსი» 2 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2  
— ,, ორივე გამოცემა > — ,, ორივე გამოცემა >

ბაჭუთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა  
ეგინაღაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე  
ლაშბაშიძისთან, თბილისში წკრა-კოხტის გამაერც-  
ლებელ საზოგადოების წაგნის მ:ლაზაშა, ბ. შიო  
ქუზუკა შეილან. ფოთში—ლუკაოზ მ. გრიგოლ  
მაქაროეთან; ახალსესკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ  
კალანდარი შეილან.

საფლის მსწავლებელთ და ღარიბთ გახეთები დათმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გაცემბა სამ მ ა ს ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგინაღაში რედაქ-  
ტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალოს დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и  
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმოებათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-დასხვა  
სასულიერი შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-  
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალოშიდაც იბეჭდება  
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება  
უძცროს და უფროს მოსამსაღებულ, ჰირე-  
ლი, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გას-  
სნილ გეოტსა ჰროგიმნაზიულ კლასებში  
დაიწება 20 აგვისტოდად და გაკემეღებდა  
მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა  
გამოგზავნონ ჰროგიმნაზიის უფროსის—  
ელენე ბასტამის სახელობაზე. სწავლის  
საფასური როგორც მოსამსაღებულ, ისე ჰრო-  
გიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ოჯიციალური განყოფილება: უმაღლესი ბრძანე-  
ბანი მსრთლ-მადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლე-  
სიო სკოლათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სალიბრატორი განყოფილება: ქართველთა ეკ-  
კლესიის წმიდანების შესახებ. დეკ. დ. ღამბაშიძე.—პირველი  
დათვალიერება და რვეზია იმერეთის ეპარქიის ეკლესიებისა  
ყოვლად სამღვდელთა ლეონიდის მიერ, დეკ. დ. ღამბაშიძე.—  
მეგობრული რჩევა ჩემს ყმაწვილებს. ვ. მალაქიაშვილი.—  
სია საკითხავებისა, რომელიც მისიონერი-ინსპექტორის მღვდ-  
ტარასი ივანიკის ჰზრით განხილულთ უნდა იყოს ქართლ-  
კახეთის სამღვდლოების მომავალ კრებაზედ.—საქართველოს  
ეკლესიის წმიდანების სახელები და მათ მოსახსენებლად დად-  
გენილი დღეები.—ნეკროლოგი. მსწ. მ. ბ.—ქე.—ქურნალო-  
ეთებიდან.—საეკლესიო საღმრთო წერილების ბეჭედის შესა-  
ხებ. მღ. კ. ანათქე.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საზირო და სასარგებლო ცნობათა განყოფი-  
ლება: საეკლე კითხვების განმარტება.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою 31 июля 1902 г.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (И. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.